გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№47 (1073) 1 - 3 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## პნევმოკოკით 2 ადამიანი გარდაიცვალა

როგორ ვებრძოლოთ ინფექციას და რამდენად უსაფრთხოა ვაქცინაცია

გვ. 8

# ვადამდელი არჩევნები არ იქნება

## დაუქერს თუ არა პარლამენტი მხარს მინისტრთა ახალ კაბინეტს

გვ. 3

## რა პრეტენზიებს წაუყენებენ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს

# ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად რჩება

## სოსო მანჯავიძე: „პრეზიდენტს შეუძლია, ივაჭროს და რამდენიმე მინისტრის პორტფელი მოითხოვოს“

გვ. 4

## ანაბრებსაც დაბეგრავენ?

გვ. 7

## ცოლის მკვლელის „განაჩენი“ პატიმრებისგან

რა პრეტენზია წაუყენა კლასელმა გაიოზს და რატომ დააბრალა ცოლს ღალატი

გვ. 6

პატიმრების ოჯახები

## აუტისტების ხარჯზე აწყობილი ბიზნესი

მშობლები ABA-თერაპიის გაძვირებას აპროტესტებენ

გვ. 8

## საგამოძიებო სამსახურმა შს სამინისტროსთან ერთად საერთაშორისო დანაშაული გახსნა



დაკავებულნი არიან თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ჰუსეინ ერჰან ერგუჯი და აზიზ ერგუჯი. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით:

**„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოტყუებით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის და კომპიუტერული მონაცემის შეცვლის ფაქტზე, საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ჰუსეინ ერჰან ერგუჯი და აზიზ ერგუჯი დააკავეს.**

**გამოძიებით დადგენილია, ქალაქ თბილისში, ბრალდებულებმა, შესაბამისი რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გარეშე დაამონტაჟეს ინტერნეტსიგნალის მიმღები სპეციალური მოწყობილობა ე.წ. სიმბოქსი, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთიდან განხორციელებული სატელეფონო ზარი, ინტერნეტტრაფიკის გამოყენებით გარდაიქმნებოდა ლოკალურ ზარად და როგორც ქვეყნის შიგნით განხორციელებული ზარი, ისე მიეწოდება საქართველოში მოქმედ კავშირგაბმულობის კომპანიის აბონენტებს.**

**დანაშაულებრივი ქმედებით უხეშად დაირღვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს და საქართველოში მოქმედ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს.**

**ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია სპეციალური მოწყობილობები, „სიმბოქსები“, სპეციალური გადამცემი ანტენები, კომპიუტერული ტექნიკა და ათეულათასობით სიმბარათი.**

**საგამოძიებო სამსახური აგრძელებს მუშაობას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის და მობილური ოპერატორებისთვის მიყენებული ფინანსური ზიანის დასადგენად. გამოძიება გრძელდება სსკ-ს 185-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და 286-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 6 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“.**

*„პირველი“*

## ნეპალიდან ევაკუაციის მსურველ ქართველებს დახმარებას ინდოეთსა და ნეპალში საქართველოს საელჩო აღმოუჩენს

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ნეპალში იმყოფებიან, შეუძლიათ მიმართონ ინდოეთში საქართველოს საელჩოს ან დაუკავშირდნენ ტელეფონის ნომრებზე (+91 11) 49496000; (+91) 9560093233; (+91) 9560791004.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნეპალში ლევან ნიჟარაძე (რეზიდენციით ნიუ დელი) უკვე მეოთხე დღეა იმყოფება კატმანდუში და ადგილზე ეცნობა საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობას.

ელჩი საქართველოს მოქალაქეებს შეხვდა, მან ასევე შეხვედრები ნეპალის გაერო-ს ოფისსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართა.

ელჩის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი 12-კაციანი ტურისტული ჯგუფი ნეპალის ქალაქ პოხარადან დედაქალაქ კატმანდუში 29 აპრილს, გვიან საღამოს ჩავიდნენ და ისინი Air Arabia-ს რეისით სამშობლოში გამოფრინდებიან.

ლევან ნიჟარაძე კი, ნეპალიდან ინდოეთში 1 მაისს დაბრუნდება.

*„პირველი“*

## თბილისში ზინაიდა კვერენჩხილაძის მემორიალური დაფა გაიხსნა

თბილისში საქართველოს სახალხო არტისტის, ზინაიდა კვერენჩხილაძის მემორიალური დაფა გაიხსნა. მსახიობის საცხოვრებელი სახლის ფასადზე მემორიალური დაფა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ გახსნა.

ღონისძიებას ზინაიდა კვერენჩხილაძის ოჯახის წევრები, რუსთაველის თეატრის მსახიობები, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, ზინაიდა კვერენჩხილაძემ თავისი მრავალწლიანი შემოქმედებით საქართველოს უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა. მისივე თქმით, მემორიალური დაფის გახსნით, დედაქალაქის მერიამ მსახიობის უკვდავსაყოფად მოკრძალებული წვლილი შეიტანა.

საქართველოს სახალხო არტისტის, კახი კავსაძის შეფასებით კი, ზინაიდა კვერენხილაძე იყო ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული, განსაკუთრებით ძლიერი ტრაგიკოსი მსახიობი.

ზინაიდა კვერენჩხილაძე 1956 წლიდან რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა. 1968 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1976 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. ათეულობით თეატრალურ როლთან ერთად შესრულებული აქვს რამდენიმე კინოროლიც. ზინაიდა კვერენჩხილაძე გარდაიცვალა 2011 წლის 2 სექტემბერს. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში.

*„პირველი“*

## თბილისის მერიაში მდგრადი ენერგეტიკის განვითარების საინფორმაციო ცენტრი შეიქმნება

„თბილისი მარიოტში“ ენერგეტიკის სამინისტროს, თბილისის მერიასა და ევროკავშირის პროგრამა INOGATE-ს შორის მდგრადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის საინფორმაციო ცენტრის შექმნის მიზნით მემორანდუმი გაფორმდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი დავით ნარმანია, ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი, პროგრამა INOGATE-ის წარმომადგენლები.

აღნიშნული ცენტრის დაარსება ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი ენერგეტიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს განახლებადი ენერგორესურსების ათვისებასა და ენერგოეფექტურობის დონის ამაღლებას.

*„პირველი“*

## საქართველო ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე პროექტით „მცოცავი საზღვარი“ წარდგება

ნაციონალური პავილიონი 8 მაისს გაიხსნება, ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს ოფიციალური გახსნის ცერემონია 9 მაისსაა დაგეგმილი. პროექტის ავტორები ვენეციაში 2 მაისს გაემგზავრებიან, რომლის კურატორი, ნია მგალობლიშვილი, არტისტები, რუსუდან ხიზანიშვილი, ირაკლი ბლუიშვილი, დიმიტრი ჩიკვაიძე, სოფია შევარდნაძე, ია ლიპარტელიანი და ჯოზეფ საბია იქნებიან.

ინტერაქტიული პროექტი წარმოადგენს სხვადასხვა საკნისგან შემდგარ სისტემურ ჯაჭვს და მოიაზრებს საზღვარს, როგორც გეოგრაფიული დანაწევრების სისტემას და ამავდროულად, როგორც ცნობიერების მართვის ინსტრუმენტს, რომელიც განიცდის ევოლუციას საზოგადოების ცნობიერებასთან ერთად — „დავამსხვრიოთ საზღვრები ცნობიერებაში და დავინახოთ მსოფლიო საზღვრების გარეშე და პირიქით“.

ბიენალეზე საქართველოს სახელით წარსადგენი პროექტის გამოსავლენად შექმნილმა საკონკურსო კომისიამ შემოსული 12 პროექტიდან საუკეთესო, ფარული კენჭისყრითა და ხმათა უმრავლესობით შეარჩია.

ვენეციის 56-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა იტალიაში 2015 წელს 9 მაისიდან 22 ნოემბრამდე გაიმართება, ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეს ერთ-ერთ მთავარ საგამოფენო სივრცეში — „არსენალეზე“ განთავსდება.

ვენეციის ბიენალეს წლევანდელი თემაა „მომავალი სამყაროს მრავალფეროვნება (All the world's futures).

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ვენეციის თანამედროვე ხელოვნების 56-ე საერთაშორისო ბიენალეზე კიდევ ერთი ქართული პროექტი წარდგება. ბიენალეს ოფიციალური პარალელური პროგრამის ფარგლებში წარდგენილ საერთაშორისო გამოფენაში „ნახტომი შეუცნობადში“ მონაწილეობას მიიღებს მხატვარი ილია ზაუტაშვილი მულტიმედიური პროექტით „საზოგადოებრივი აზრი“. პროექტის „მცოცავი საზღვარი“ კონცეფცია რეალობაა, რომელშიც საქართველოს და პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებს უწევს არსებობა. ეს პრობლემა განპირობებულია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით. საქართველოს პავილიონი მიზნად ისახავს მაქსიმალურად ასახოს ეს რეალობა და გარკვეული ინტერვენცია მოახდინოს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოედანზე.

*„პირველი“*

## კახა კუკავა, ირაკლი ღლონტი და ბეჟან გუნავა სასამართლომ ხელწერილით გაათავისუფლა

პოლიტიკოსების სასამართლო პროცესი მომავალ კვირას გაიმართება, სადაც მხარეებმა მტკიცებულებები უნდა წარადგინონ.

„თავისუფალი საქართველოს“ წევრების — კახა კუკავას, ბეჟან გუნავას და პარტია „რეფორმატორების“ ლიდერ ირაკლი ღლონტის საქმეზე გამოძიება პოლიციელებისთვის წინააღმდეგობისთვის გაწევის და წვრილმანი ხულიგნობის მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიტიკოსები ე.წ. დეზერტირების ბაზართან მაშინ დააკავეს, როდესაც კომპანია „სითი პარკს“ ერთ-ერთი მოქალაქის ავტომანქანა საჯარიმო სადგომზე გადაჰყავდა, პოლიტიკოსებმა კი მათი შეჩერება სცადეს.

*„პირველი“*

# ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება, მთავრობის მეთაური კი კვლავ ირაკლი ღარიბაშვილი იქნება!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**მთავრობაში მინისტრთა მესამედის შეცვლამ ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დაგვაყენა: ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, შეთანხმდებიან თუ არა მარგველაშვილი და ღარიბაშვილი მინისტრთა კაბინეტზე, გამოუცხადებს თუ არა ნდობას ახალ მთავრობას პარლამენტი და კვლავ ამოტივტივდა მარადუკვდავი თემა ქართულ პოლიტიკაში — ამ მოვლენებისა და კონსტიტუციური შესაძლებლობის გათვალისწინებით, ჩატარდება თუ არა ვადამდელი არჩევნები.**

ამ კითხვებზე პასუხი „ვერსიამ“ იპოვა და დეპუტატებსაც ესაუბრა, თუმცა აქ კიდევ უფრო საინტერესო ის პოლიტიკური კულუარებია, რაც რეალურად, ახალი მინისტრების ვინაობაზე მნიშვნელოვანია — არის თუ არა ეს პროცესები მართული ან გახდება თუ არა „ოცნების“ „განხეთქილების ვაშლი“ მთავრობის დამტკიცება?! „ოცნება“ ერთიანი ფორმალურად რომაა, დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ასეთ მწვავე პოლიტიკურ ვითარებაში, ყველა ხმას განსაკუთრებული ფასი ედება: ალასანიას თანაგუნდელები მთავრობაში ივანიშვილის დაბრუნებას ითხოვენ, ნაციონალები, ცხადია, ახალ გუნდს არ დაამტკიცებენ, რის შესახებაც უკვე განაცხადეს, თავად უმრავლესობას კი მუდმივად კვორუმის პრობლემა აქვს. ამიტომ ახლა კოალიციის თავზე „დამოკლეს მახვილივით“ რესპუბლიკური პარტია ჰკიდია, რომელიც, ფაქტობრივად, ამ პროცესებში გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ან რატომაა გამორიცხული, ეს ყველაფერი ვითომ დაპირისპირებულ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის წინასწარშეთანხმებული თამაში იყოს, ამ მყიფე პარლამენტის დასაშლელად?! საქმე საქმეზე თუ მიდგა, დღევანდელ მოცემულობაში მთავარი „დამნაშავე“ პარლამენტი გამოდის — რომ არა სპორტის კომიტეტის დაპირისპირება ექსმინისტრ ლევან ყიფიანთან, მთავრობას პარლამენტისგან ნდობის ხელახლა მოპოვებაც არ დასჭირდებოდა. თანაც, დეპუტატები ისე გაჯიუტდნენ, ყიფიანთან ვერც ბიძინამ შეარიგა და ვერც ღარიბაშვილმა. ამ სპორტის კომიტეტში კი ნინო ბურჯანაძის ძველი თანამებრძოლებიც ხომ არიან — ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი. ხოლო ბურჯანაძის პარტია ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის გამოკვეთილი ფლაგმანია. ყველა კითხვაზე პასუხს მივიღებთ, თუკი გავაანალიზებთ, ვის რა ინტერესი აქვს და ვინ რას მოიგებს ვადამდელი არჩევნებით, რომელიც ამ ვითარებაში, ხელისუფლების ან მასთან ასოცირებული ძალის გარდა, არავის აწყობს. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რიგგარეშე არჩევნებამდე ბევრი პროცედურაა, რასაც, დიდი ალბათობით, შერიგებული პრემიერი და პრეზიდენტი ერთ კვირაში უმტკივნეულოდ ჩაატარებენ. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი პარლამენტს ახალ შემადგენლობას ერთკვირიან ვადაში წარუდგენს, პრეზიდენტს კი პრემიერის კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობა შესთავაზებს. ორი აზრი არ არის, „ოცნების“ კანდიდატი ისევ ღარიბაშვილი იქნება და ამას დეპუტატებიც ადასტურებენ. ხოლო შემდეგ, მინისტრობის კანდიდატურებს ისევ ღარიბაშვილი წარუდგენს პრეზიდენტს. არც ისაა ეჭვქვეშ დასაყენებელი, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტი პარლამენტის ნდობას ხელახლა მოიპოვებს, რისთვისაც საკანონმდებლო ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობაა საჭირო. ნდობის გამოცხადებიდან 2 დღეში, პრეზიდენტი დანიშნავს პრემიერს, ხოლო პრემიერი ასევე 2 დღეში – მინისტრებს. რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ამ ვადაში არ დანიშნავს პრემიერს ან პარლამენტი ახალ კაბინეტს ნდობას არ გამოუცხადებს. ვითარებას სხვაგვარად ამ მომენტისთვის მხოლოდ 2 პარტია წარმოაჩენს და აცხადებს, რომ ვადამდელი არჩევნები ერთადერთი გამოსავალია. ეს ნინო ბურჯანაძის პარტია და ნაციონალური მოძრაობაა შემდეგი განცხადებებით: **ნინო ბურჯანაძე: „არათუ ღარიბაშვილი, ივანიშვილიც კი ვერ აკონტროლებს სიტუაციას და არ ფლობს რეალურ ინფორმაციას. ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და რეალური ცვლილებებია ხელისუფლებაში“. მიხეილ სააკაშვილი: „ოლიგარქის მმართველობის შეცვლაა გამოსავალი, რაც მხოლოდ რიგგარეშე არჩევნების გზითაა შესაძლებელი. რიგგარეშე არჩევნების შედეგად საქართველოში უნდა მოვიდეს მთავრობა, რომელსაც ფართო წარმომადგენლობა ექნება. ნაციონალური მოძრაობა მზად არის, ნებისმიერ გამოწვევას გაუმკლავდეს“.** ეს მხოლოდ ამ ორი პარტიის არცთუ კეთილი სურვილებია თუ რეალობა და საბოტაჟი, ამას კოალიციის მოქმედება გვიჩვენებს. თუმცა სრულიად სხვა რეალობას ხატავენ „ოცნების“ დეპუტატები, რომელთაც „ვერსიამ“ ასეთი კითხვა დაუსვა — გახდება თუ არა მთავრობის არდამტკიცება კოალიციის დაშლის საფუძველი: **ომარ ნიშნიანიძე: „პირიქით, მგონი, კარგი პრეცედენტი ხდება — მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ იგი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულია. საგანგაშო არაფერია. რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება იყოს, თუმცა კონსენსუსამდე მივალთ და ახალ მთავრობას წინააღმდეგობა არ შეხვდება. ყველაფერი მოლაპარაკების გზით ჩაივლის, პრეზიდენტი და პრემიერი შეთანხმდებიან. ერთადერთი, ის არაა გამორიცხული, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადამ ცოტათი გადმოიწიოს!“**

**ალექსანდრე ქანთარია: „ვადამდელ არჩევნებზე, ბუნებრივია, ეჭვები გაჩნდებოდა, რადგან უახლოეს დღეებში სამი მინისტრი პატარა ინტერვალებით გადადგა, მაგრამ მთავრობა არ იშლება და დარწმუნებული ვარ, პარლამენტი კაბინეტს ნდობას გამოუცხადებს. პრეზიდენტს აქ ფორმალური როლი აქვს და არავითარი სიურპრიზები არ იქნება. იმის დრო ნამდვილად არ არის, ვინმეს სეირის ყურების საშუალება მივცეთ და ეს აბსურდული ვერსიები გავამაგრებინოთ“.**

უმრავლესობის კიდევ ერთ დეპუტატსა და ამ აჟიოტაჟის ერთ-ერთ მთავარ გმირს, სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს, **ლერი ხაბელოვს** კი ისიც ვკითხეთ, ღირდა თუ არა ექსმინისტრ ყიფიანთან ეს დაპირისპირება მთელი მთავრობის ნდობა-არნდობის საკითხის კითხვის ნიშნისქვეშ დაყენებად: **„ყიფიანთან არავითარი პიროვნული დაპირისპირება არ გვქონია. არც პრემიერისადმი გაგზავნილ მიმართვაში ყოფილა ნახსენები პირადი საკითხები. თუ ყიფიანი დეპუტატების მიერ დასმულ თითოეულ კითხვას პირადულად აღიქვამდა, ეს მისი პრობლემაა. ჩვენ მისი, როგორც მინისტრის ანგარიში მოვისმინეთ, კითხვები დავუსვით, მან კი რამდენიმე დეპუტატს შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც ყიფიანი ამბობს, მე სახელმწიფოზე ვფიქრობ, ისინი კი პირადზეო, ესეც თითიდან გამოწოვილი ახსნაა და რომ ჰკითხოთ, ამ სიტყვების მნიშვნელობასაც ვერ განმარტავს. საუბარი იმაზე, ღირდა თუ არა ეს ყველაფერი მთავრობის გადადგომად, არასწორია — რაც დღეს ხდება, ჩვეულებრივი პროცესია და ახალ მთავრობას „ოცნება“ უპრობლემოდ დაამტკიცებს. გუნდი, ჩვეულებრივ, შეკრულია და პრემიერობისა და მინისტრობის კანდიდატებს ნდობის მოპოვების პრობლემა არ ექნებათ“.** ამავე კომიტეტის კიდევ ერთი წევრი **სოსო ჯაჭვლიანი** კი რამდენიმე საინტერესო დეტალსაც გვიმხელს: **„ყიფიანს ანგარიშის მოსმენისას, სხდომაზე 11-მა დეპუტატმა ორ-ორი კითხვა დავუსვით, ჰოდა, რაკი პასუხები არ ჰქონდა, იუზრდელა, აგრესიული გახდა. მუშტი-კრივი არ გაგვიმართავს, უბრალოდ, უარყოფითი დასკვნა დავდეთ, რომელიც პრემიერთან გადაიგზავნა. როგორც ჩანს, მან ამ კითხვებს სათანადოდ ვერც პრემიერის წინაშე უპასუხა. მე ხომ არ დამიწერია განცხადება მის მაგივრად, თვითონ გადადგა. თუმცა, როცა მის განცხადებას ვისმენდი, შემეცოდა, საწყალი — რაღაც ბოღმა გადმოანთხია, თითქოს, მის საქმეებში ხელებს ვაფათურებთ. მგონი, სჯობს, იმას უპასუხოს, თავად როგორ აფათურებდა ხელებს ტენდერებში და ა.შ. ისიც იცოდეს, მისი ადგილი არავის სჭირდება! ის საქმეც უნდა გამოაშკარავდეს, რაზეც ჩვენ ვედავებოდით — სინამდვილეში, რაში იხარჯება ჭადრაკის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები. რომ ამბობენ, ამ ფულით კონგოში, მაპუტუსა და ჩადის რესპუბლიკებში ჭადრაკი უნდა განვავითაროთო, მოდი, რა, ჯერ ჩვენს მოჭადრაკეებს მივხედოთ! ჰოდა, მე „ოცნების“ წევრი ვიქნები, ბურჯანაძის პარტიის თუ ენვერ ხოჯაშვილის, ამაზე ხმა არ უნდა ამოვიღო?! ჩვენგან შორს ჯოკია და ბოდოკია! იმასაც გეტყვით, რომ პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენინას, ყიფიანმა შეგნებულად დამალა, რომ მკლავჭიდის ფედერაციამ შარშან ევროპისა და მსოფლიო ასპარეზობაზე 54 ოქროს მედალი აიღო. ამაზე დიდი დარღვევა რა გინდათ?! მან ჩვენზე ისიც თქვა, არასახელმწიფოებრივად აზროვნებენო. ჰოდა, თუ თვითონ აზროვნებდა სახელმწიფოებრივად, გადადგომის შესახებ განცხადება არ უნდა დაეწერა და მთავრობა ამ მოცემულობის წინაშე არ დაეყენებინა. თუმცა დარწმუნებული ვარ, ახალი მთავრობა დამტკიცდება და ყველაფერი კარგად იქნება!“**

ალბათ, ამ მკითხაობას წერტილი კიდევ ერთმა უსტატუსო ლიდერმა დაუსვა, სულ ერთი ფრაზით. **ბიძინა ივანიშვილმა** გაიკვირვა, რა საკითხავია, დამტკიცება თუ არა ახალი გუნდიო: **„გუნდს პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, ხმების პრობლემა არ არსებობს... მე რატომ უნდა დავბრუნდე, ამის არანაირი მიზეზი არ ჩანს და არც შიდადაპირისპირება არსებობს“.**

## ვერსიანიუსი

### შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ჯენგიზ მ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით სარფში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-ს წარმომადგენლები აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის და თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის და თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შსს-ს, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის და თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) შორის არსებული თანამშრომლობის, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების, საზღვრის ინტეგრირებული მართვისა და სასაზღვრო უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. ასევე ისაუბრეს მიმდინარე პროექტებისა და თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

*„ვერსიანიუსი“*

## ქართული არმია 24 წლისაა

წელს ქართული არმია დაარსებიდან 24-ე წლისთავს აღნიშნავს. შეიარაღებული ძალების იუბილე 30 აპრილს, საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა.

დილიდან თავდაცვის სამინისტროს სამწყობრო მოედანზე მოწყობილ პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართეს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ და გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა, ვახტანგ კაპანაძემ. გაიმართა წარმატებული სამხედროების დაჯილდოების ცერემონიაც, რომლის დასრულების შემდეგ, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ მართვის ცენტრში გადაინაცვლა. თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა, ვიდეოკონფერენციის საშუალებით, საიუბილეო თარიღი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და საერთაშორისო მისიებში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს მიულოცეს.

მოგვიანებით, თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი სამინისტროდან სოფელ შინდისში გაემგზავრნენ. მემორიალთან მათ დაღუპულ გმირთა ოჯახის წევრები დახვდათ. მემორიალის ირგვლივ 17 ერთეული კვიპაროსი დაირგო, მიმდებარე ტერიტორია კი სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მცენარეებით გამწვანდება.

საზეიმო ღონისძიებები შეიარაღებული ძალების დღისადმი მიძღვნილი კონცერტით დასრულდა. თავდაცვის სამინისტროს შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრში ეროვნული გვარდიის სამხედრო ორკესტრმა ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულა. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ მომღერალი მარიკო ებრალიძე, პიანისტი თათია შარანგია და ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ქართველები“. კონცერტის შემდეგ საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, დიპლომატიური კორპუსის, ჯარის მეგობართა საზოგადოების და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქართულ ჯარს, იუბილე, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიულოცა: **„საქართველოს შეიარაღებული ძალების დღეს ვულოცავ მთელ პირად შემადგენლობას, მეთაურებს, თითოეულ ჯარისკაცს. ქართველმა ხალხმა იცის თქვენი შეუპოვრობის, თავგანწირვის, სიმტკიცის ფასი. თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავთ ჩვენს სამშობლოს, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს აქ, ჩვენს ქვეყანაში თუ უცხო მიწაზე. გისურვებთ, ღირსეულად იდგეთ საქართველოს სამსახურში და თქვენი წვლილი შეიტანოთ ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების პროცესში. გისურვებთ წარმატებებს!“.**

*„პირველი“*

## საქართველოში ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობითი ოფისი იხსნება

თანამშრომლობის ახალი ეტაპის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და EIB-ის ვიცე-პრეზიდენტმა, ვილჰელმ მოლტერერმა ისაუბრეს.

მთავრობის მეთაურმა ბანკის ვიცე-პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს წარმომადგენლობით ოფისს საინვესტიციო მიზნების სრულად განხორციელებაში.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის არსებულ თანამშრომლობაზე, რომლის ფარგლებში, სახელმწიფო სექტორის მხარდაჭერის მიზნით, სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის დასაფინანსებლად, ბანკმა დაახლოებით 380 მილიონი ევრო გამოყო.

ირაკლი ღარიბაშვილმა ვილჰელმ მოლტერერს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ სახელმწიფო თუ კერძო სექტორში ბანკის მიერ დაფინანსებული თითოეული პროექტი, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოში ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობითი ოფისის გახსნა ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

*„პირველი“*

# სოსო მანჯავიძე: „პრეზიდენტს შეუძლია, ივაჭროს და რამდენიმე მინისტრის პორტფელი მოითხოვოს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**მთავრობასა და პარლამენტში არსებული არასახარბიელო ვითარების კვალდაკვალ, საკრებულოშიც არეულობაა. ალექსანდრე ელისაშვილი სამოქალაქო დაუმორჩილებლობას აანონსებს, მერიაში სკანდალი სკანდალზე გორდება. საკრებულო მერით კმაყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ გზებზე ისევ ორმოებია, ხეებსაც ისევ ჭრიან და ახლა უკვე აბეტონებენ კიდეც. მოკლედ, ქალაქში ვითარება დიდად არც „ოცნებას“ შეუცვლია. ამ თემებზე საკრებულოს უპარტიო-უფრაქციო დეპუტატს, სოსო მანჯავიძეს ვესაუბრეთ, რომელმაც მთავრობაში მიმდინარე პროცესები ერთი დღით ადრე იწინასწარმეტყველა და წლის კითხვას, მაინც რამდენი ხე დარგო ნარმანიამ, უპრობლემოდ უპასუხა.**

— პარადოქსულ-ტრაგიკომიკური ვითარებაა! ერთი თვეა, საპრეზიდენტო რეზიდენციიდან მარგველაშვილის გამოსახლება-არგამოსახლებაზე დავაა. მთავრობასა და პრეზიდენტს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. უეცრად, ამ ფონზე, ბატონ ხოკრიშვილს გერმანიაში წასვლა და ოჯახთან შეერთება მოუნდა, ჩათვალა, რომ სწორედ ახლა იყო ამის დრო; მერე სპორტის კომიტეტისა და ყიფიანის შერიგება ვერ მოხერხდა და ამ ყველაფერს მთავრობის გადადგომა მოჰყვა; ახლა სწორედ იმ პრეზიდენტმა, რომელთანაც აღმასრულებელი ხელისუფლება მძიმე დაპირისპირებაშია, მთავრობის შემადგენლობა უნდა შეითანხმოს და პრემიერის კანდიდატურა პარლამენტს წარუდგინოს. თან ეს ხდება მძიმე ეკონომიკური კრიზისის მქონე ქვეყანაში. ამიტომ დაპირისპირება, რომელსაც „ოცნების“ შიგნით ყოველდღე ვხედავთ, შესაძლოა, უფრო გამწვავდეს. პრინციპში, როცა მთავრობის გადადგომის საფრთხემაც კი ვერ შეაჩერა აბსოლუტურად აბსურდული მიზეზის მქონე ორი მინისტრი, ეს უკვე დაპირისპირებაა.

**— ამ მიზეზების არ გჯერათ?**

— ცხადია, არ მჯერა, მაგრამ შეურაცხმყოფელია საზოგადოებისთვის ამ მიზეზების დასახელება. ეს უპასუხისმგებლო, არხეინ და თვითკმაყოფილ დამოკიდებულებას ნიშნავს.

**— და არა წინასწარდადგმულ სცენარს ვადამდელი არჩევნებისთვის?**

— პარლამენტის შესაცვლელად ამდენთვიანი და ასეთი კომბინაციის დამლაგებელი კაცი საქართველოში არ მეგულება. ამ პოლიტიკური შედეგის მიღება უფრო მარტივადაც შეიძლებოდა, თუმცა გამორიცხული არაფერია. ძალიან ცუდი იქნება, თუ ეს ამბები სპონტანურად ხდება, პრეზიდენტი და პრემიერი წინასწარ არ არიან შეთანხმებულნი და ახლა იწყებენ ერთმანეთში საუბარს. ალბათ, ასეცაა. პრეზიდენტი რომ გაჯიუტდეს, შეუძლია, არც დაასახელოს ღარიბაშვილის კანდიდატურა ან ივაჭროს და რამდენიმე მინისტრის პორტფელი მოითხოვოს. ახლა მისი როლი წარმოუდგენლად გაიზარდა. ზოგადად, ჩვენთან რაც ხდება, ტრაგედიაა. გეუბნებით, ტვინში ყველას ფილტრი აქვს გაფუჭებული. პოლიტიკასა და ყველა სხვა სფეროში სიფათები არიან და არა რესპექტაბელური სახეები — ყველგან სიფათებია.

**— საკრებულოშიც?**

— აქაც და იქაც — ყველგან! ხელისუფლებას ხომ აქვს საქმე კარგად, დანარჩენები კი ოპოზიციაში ყოფნას ყვირილს ეძახიან. რა მნიშვნელობა აქვს, ნაციონალი ყვირის უაზროდ თუ არანაციონალი, ყვირილი და ლანძღვა ერთი ფენომენია, რასაც გარკვეული ფსიქიკური საფუძვლები აქვს. ე.ი. კაცი თავისი არაჯანსაღი ემოციების რეალიზებითაა დაკავებული.

**— ოპოზიციის კრიტიკა მოდაშია. ივანიშვილი სხვადახვა ოპოზიციონერს ნაციონალს ეძახის. ასე შეაფასა თქვენი კოლეგა, ალეკო ელისაშვილიც. ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ყველა ნაციონალია?**

— ეს შეფასება ყველას არ ეკუთვნის, ვინც აქტიურობს. არც ბიძინა ივანიშვილს უთქვამს ასე, მან კონკრეტული გვარები დაასახელა: ელისაშვილი, კოჟორიძე, ლომჯარია, ალასანია, პრეზიდენტი. თუმცა სანამ ივანიშვილი რამეს იტყოდა, 2010 წლიდან ვამბობდი, რას იზამდა ალასანია. როცა მარგველაშვილი აირჩიეს პრეზიდენტად, მაშინაც ვამბობდი, რომ ალასანია, ნაციონალების ნაწილი, „ახალი ნაცები“, რომელთაც „ივერია“ შექმნეს და რესპუბლიკელები დაჯგუფდებოდნენ. ნაციონალებმა „მცოცავი გადატრიალება“ უკვე მოახდინეს — რესპუბლიკელებს რა პოზიციაც უკავიათ პარლამენტში, ვიცით. ალასანიას გუნდი უკვე ღიად გამოეყო კოალიციას. ახლა მათი ამოცანაა, ისეთი ლიდერშიპი შექმნან, რომელიც, მეტ-ნაკლებად, ხალხის სიმპათიას დაიმსახურებს. ისინი სპიკერებს ფარულად მოამზადებენ და ნელ-ნელა პოპულარობასაც მოაპოვებინებენ, რადგან ტელესივრცე გახსნილი აქვთ. ისინი მოსახლეობის იმ ნაწილსაც აიყოლიებენ, ვინც დემაგოგიისა და პოლიტიკური ჰიპნოზის მიმართ იოლად მოწყვლადია. ამის გაკეთებას კი იმ მომენტისთვის შეეცდებიან, როცა ჩათვლიან, რომ აქციებისთვის საუკეთესო დროა.

**— უფრო იოლად რომ თქვათ, ეს ხალხი „გადაგდებული“ და იმედგაცრუებულიაო, არ შეიძლება?**

— დიახ, ამაზეა საუბარი და ასეთი საკმაოდ ბევრია, რადგან „ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ აბსოლუტურად არაადეკვატური დაპირებები გასცა. ხელისუფლებას არც საკადრო რესურსი აქვს, არც პოლიტიკური ხედვა.

**— მოკლედ, ხელისუფლებას ხედვა არ აქვს, ოპოზიცია არ არსებობს, პოლიტიკა სავსეა „სიფათებით“ — რატომ გაქვთ ასეთი მძიმე შეფასებები?**

— ასეა და იმიტომ... შესაბამისია ვითარება ქვეყანაშიც, სადაც მძიმე ეკონომიკური კრიზისია და უპასუხისმგებლო, უცოდინარი პოლიტიკური სპექტრი გვყავს.

**— ე.ი. საკრებულოშიც ასეთი ჩამყაყებულია ვითარება?**

— სხვა უწყებებსა და პარლამენტთან შედარებით, თბილისის საკრებულოში უკეთესი ვითარებაა. საკრებულო აქტიურია, 5 თვეში იმაზე მეტი სხდომა ჩატარდა, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, 4 წელიწადში. ასევე, ვაკონტროლებთ მერიას, ჩვენს შორის რეალური ოპონირება მიდის, რაც შესაძლოა, გარეთ არ ჩანდეს.

**— მერწმუნეთ, არ ჩანს! ბოლოს, ცნობილი საკადრო ცვლილებების დროს ნარმანიას ანგარიშს რომ მოუსმინეთ, თავმჯდომარეცა და დეპუტატებიც მეტად კმაყოფილნი ჩანდნენ. სად არის ეს უხილავი კონტროლი, როცა ნარმანიამ ნახევარი თბილისი გაჩეხა და „სითი პარკი“ ისევ თავზე გვაზის?**

— ჯერ ერთი, ეს როგორ უნდა ჩანდეს? მთელი მასმედია აქტიურობის ერთადერთ ინდიკატორად ყვირილსა და ლანძღვა-გინებას მიიჩნევს. სწორად გამიგეთ, მე ურბანული თუ სხვა პრობლემების რეალურად გადაწყვეტაზე ვარ ორიენტირებული და უსაგნო ყვირილს ვერ დავიწყებ. ასეთია „სითი პარკის“ საკითხიც. ამ კომპანიის უკან ებრაელი ბიზნესმენები დგანან, რომლებიც შემოდიან ჩვენნაირ ქვეყანაში და ასეთ კაბალურ პირობებს უწესებენ. ჩემი ინიციატივით, ტომარაძე-მიგრიაულის კანონპროექტი, „სითი პარკის“ უფლებების შეზღუდვის შესახებ, უკვე პარლამენტშია. იურიდიულმა კომიტეტმა იგი პირველი მოსმენით განიხილა. საქმე ეხება „სითი პარკისთვის“ მანქანების ადგილიდან გადაყვანის უფლების ჩამორთმევას, თუ ავტომობილი მოძრაობას პირდაპირ არ კეტავს. ახლა მსჯელობენ, ამაში 112-ის სამსახური რა ფორმით ჩაერთოს. მერიამ ცენტრალურ უბნებში „სითი პარკს“ პარკირების ადგილი არაერთგან ჩამოართვა. ასევე, დასკვნის მოსამზადებლად ჩამოვიდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომელთა დასკვნა, ხელშეკრულების გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, საერთაშორისო სასამართლოებში დავისას, წონადი იქნება. შესაცვლელია დაჯარიმების სისტემაც და თუ ეს ორი რამ გაკეთდა, მერე „სითი პარკი“ გინდ ყოფილა, გინდ არა. ასე პირდაპირ რომ გავაგდოთ ქვეყნიდან, გვიჩივლებენ და დიდ ჯარიმას დაგვაკისრებენ.

**— ანუ ფიქრობთ, საკმარისად აქტიური ხართ?**

— ბევრი ინიციატივა მაქვს და ვცდილობ, საქმე ვაკეთო. მაგალითად, ახლა თბილისის მთავარი პრობლემის, მოუწესრიგებელი მიწისქვეშა კომუნიკაციების საკითხის გადაწყვეტაზე ვმუშაობთ. ამის ბრალია გზებისა და შენობების გამუდმებული ნგრევა დედაქალაქში. თუმცა რეალური სურათი, ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, დღესაც არ არსებობს. სხვათა შორის, ახლა თბილისში სანიაღვრე ქსელების ისეთი მასშტაბური რემონტი მიმდინარეობს, როგორიც აქამდე არ ჩატარებულა. თუმცა „ოცნებამ“ ეს ამბავი მოსახლეობას ვერ მიაწვდინა. ეს პრობლემა თუ არ მოგვარდა, სულ ნგრევა-შენებასა და „ლაფატკებით“ თხრაში ვიქნებით. ეს სტრატეგიული, არაყოველდღიური საკითხებია და არ ჩანს. სამაგიეროდ, ჩანს ყვირილი მოჭრილი ხის კუნძებთან და მერე ირკვევა, რომ ვინც 10 ხე მოჭრა, მერე იმან, საპირწონედ, 100 დარგო. რომ გაიძახიან, ნარმანიას დარგული მილიონი ხე სად არისო, არ იციან, რომ კაცმა რაც თქვა, იმას აკეთებს.

**— ვერ გავიგე, ნარმანიას იცავთ? ისიც გეცოდინებათ, რამდენი ხე დარგო მერმა მოჭრილი მცენარეების სანაცვლოდ?**

— არავის ვიცავ, ამას მართლა აკეთებს. თუ საქმე იმ ტემპებით წავა, როგორც ახლაა და დენდროლოგიურ პარკში ეს საქმიანობა არ გაჩერდა, წელიწადში სადღაც 200 000 ხე დაირგვება. სინამდვილეში, ნარმანიას არარეალისტური არაფერი უთქვამს, მაგრამ ნახევარი მილიონიც რომ დარგოს, ცუდი რითაა?

**— დამოუკიდებელი დეპუტატი კი ხართ, მაგრამ საკუთარ თავს „ოცნების“ ოპოზიციაში მოიაზრებთ თუ „ოცნებასთან“?**

— მარტივად გეტყვით — ჩემი აზრით, ვარ ოპოზიციაში და რასაც ვაკეთებ, ესაა ოპონირება. ზოგადად კი, საქართველოში არც პოზიციაა, არც ოპოზიცია — არის ერთი გაუგებრობა და სხვა არაფერი.

# როგორ აფასებენ დეპუტატები და ექსპერტები მთავრობის ეკონომიკური გუნდის მუშაობას და რა პრეტენზიებს წაუყენებენ მთავრობის ახალ წევრებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მინისტრთა ახალ კაბინეტში, რეალურად, ორი — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები იცვლება. მთავრობის სხვა წევრებს, მათ შორის, არც ეკონომიკურ გუნდს ცვლილებები არ შეეხება. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება იმ ფონზე, რომ ლარის დევალვაცია 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება? ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ვალუტა დაახლოებით, 31%-ით გაუფასურდა. ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სავალუტო კრიზისი უკვე კრახში გადაიზარდა, ოღონდ მთავრობა ამას ოფიციალურად არ აღიარებს. მეტიც, აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდში არაფერი იცვლება. „ვერსია“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ ეკონომიკური გუნდის მუშაობას საქართველოს პარლამენტის წევრები და ექსპერტები. საინტერესოა, ლარის დევალვაციის ფონზე, რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას და რა ვერ გააკეთა? რა პრეტენზიები აქვთ ეკონომიკური გუნდის წევრებთან და რას ითხოვენ მთავრობის ახალი გუნდისგან?**

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ნოდარ ებანოიძე** ეკონომიკური გუნდის მუშაობას დადებითად აფასებს: **„მთავრობის ეკონომიკური გუნდი საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს ადმინისტრირებას, ეკონომიკა ცოცხალია, რაც იმის შედეგია, რომ პირველი კვარტლის მაჩვენებლებით, შემოსავლები საკმაოდ მაღალია — შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით, 14%-იანი ზრდა გვაქვს. მთავრობას შეიძლება ვეკამათოთ ერთი მიმართულებით, სწორი იყო თუ არა, როდესაც ლარის სტაბილიზაციის კურსის ნაცვლად, ეკონომიკური აქტივობის არშენელების მიმართულებით გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მაინტერესებს, რამდენად კოორდინირებულია მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაობა? შარშან, როდესაც მსგავსი აფეთქება იყო, გამოჩნდა, რომ კოორდინირებულად იმოქმედეს და ერთობლივი მოქმედებით გაუმკლავდნენ პროცესს. როდესაც პარლამენტში 2015 წლის ბიუჯეტი შემოვიდა, ცხადია, აუდიტის სახელმწიფო სამსახურისა და ეროვნული ბანკის მოხსენებაც ახლდა. ეკონომიკის 5%-იან ზრდასთან დაკავშირებით, სკეპტიკური აზრი არ გამოთქმულა“.**

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **ლევან ბეჟაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდის საუკეთესო შემფასებელია ის ვითარება, რომელიც ქვეყანაშია. მისი თქმით, საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ მთავრობის უგნურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოსახლეობა გააღარიბა, ლარი გააუფასურა, რაც ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც აისახება: **„ვხედავთ, რომ მინისტრები ნელ-ნელა იპარებიან, რადგან იციან, ხელისუფლებას ამ პრობლემების გამკლავების უნარი არ შესწევს. ხან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხან ოჯახური პირობების გამო ცდილობენ, მყისიერად დატოვონ თანამდებობა. მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის განცხადება, რომელიც ცდილობდა, ტონი შეენარჩუნებინა და საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, თითქოს არაფერი ხდება და მთავრობა ერთიანია. ამ მთავრობას დამტკიცების დღიდან ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება და ჩვენ ვუწუნებდით, რომ მათ არ გააჩნდათ ხედვა, რის გამოც ხალხი უკომპასო მთავრობასაც კი უწოდებდა. ამ ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფომ უამრავი მაკონტროლებელი ორგანო შექმნა, სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურა დაამძიმა, სავიზო პოლიტიკა გააუარესა, გადასახადები გაზარდა, რის გამოც ქვეყანაში ინვესტიციები აღარ შემოდის. დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებასა და ინვესტიციების ნაკლებობას ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობაც განაპირობებს, როდესაც პოლიტპატიმრები გაჩნდნენ და ბუნებრივია, ეს ყველაფერი უარყოფით სურათს ქმნის“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი **ანი მიროტაძე** აცხადებს, რომ თუ ივნისის ბოლოს, ლარის კურსის სტაბილიზაციას და იმ პირველ სასიკეთო შედეგებს ვერ იგრძნობს, რაც თავის დროზე, ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტს წარუდგინა, პირველი იქნება, ვინც ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვს პასუხს: **„იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში საკმაოდ ბევრი სირთულეა, ამას გარკვეული შეცდომებიც ახლავს. არ ვფიქრობ, რომ ეს დიდი შეცდომებია, მაგრამ ცოტა უფრო მეტად უნდა გაეთვალათ ის პრობლემები, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით. ვგულისხმობ ლარის კურსის გაუფასურებას, რამაც თითოეულ ოჯახზე იმოქმედა. ადამიანებს სამართლიანად უჩნდებათ კითხვა და პრეტენზიები ჩვენს მიმართ, ნორმალურია. პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, პირადად მაქვს კითხვები ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და არა იმიტომ, რომ გიორგი ქადაგიძე ყოფილი ხელისუფლების დროს აირჩიეს. მეჩვენება, რომ მან არ ან ვერ გათვალა საფრთხეები. პრეტენზია სწორედ მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და ეროვნული ბანკის არაკოორდინირებულ მუშაობასთან მაქვს. რეგიონის პრობლემები და ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული პროცესები საქართველოს ეკონომიკაზე აისახა, მაგრამ ქვეყანას ხელისუფლება იმიტომ ჰყავს, ასეთი რისკები წინასწარ გათვალოს“.**

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა, **დავით ონოფრიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ როდესაც სავალუტო კრიზისზე ვსაუბრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური გუნდის მუშაობას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ზოგადად, მთავრობის ერთიანი მოქმედება. მისი თქმით, მთავრობამ ვერ მოახერხა, სავალუტო კრიზისის შესაბამისად ემოქმედა, უუნარო აღმოჩნდა და ამ კრიზისის სიმწვავე დროულად ვერ შეაფასა: **„ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს, როდესაც სავალუტო კურსმა ვარდნა დაიწყო, მთავრობა ამბობდა, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა ეროვნული ბანკი გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამდა. მთლიანობაში, ხელისუფლების უმთავრესი პრობლემა ცუდი მმართველობაა, როდესაც დროულად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, სუსტია და სხვადასხვა სახის კრიზისებთან გამკლავება უჭირს. საქართველო საბაზრო, ღია ეკონომიკის ქვეყანაა, პატარაა და მეტ-ნაკლებად, ყოველთვის დამოკიდებული იქნება საგარეო შოკებზე და არა „შოკუნიებზე“, როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა. მთავრობა მზად უნდა იყოს, ასეთი შოკები აირიდოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს, რაც ჩვენს სინამდვილეში არ მომხდარა. გარდაუვალია, ენერგომატარებლებზე ანუ გაზსა და დენზე ტარიფები გაიზრდება, რაც კიდევ ერთი წნეხი იქნება მოსახლეობისთვის. არ ვიცით, კონკრეტულად, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს მთავრობა ამ მიმართულებით, ამიტომ ლოგიკური იქნებოდა, ეს მთავრობა გადამდგარიყო. ახალი მთავრობა უნდა ჩამოყალიბებულიყო, ახალი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეტი ნდობა ექნებოდა საზოგადოებაში“.**

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეკონომიკის ექსპერტი **რომან გოცირიძე** აცხადებს, რომ ზოგადად, მთავრობის ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის ცნება არასწორია, რადგან მთავრობის ეფექტურობა მთელი გუნდის შეთანხმებულ მუშაობაზეა დამოკიდებული. მისი თქმით, ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ მთავრობა თავიდანვე არასწორად დააკომპლექტა, რადგან ერთი-ორი მინისტრის გარდა, მოსახლეობა არავის იცნობდა: **„ამ ხელისუფლების პირველი, დიდი შეცდომა იყო ის, რომ ვერ გაიგო, რა მოხდა 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში, რატომ გაუფასურდა ლარი. ამას იმ პერიოდში, ეროვნული ბანკის მიერ, 440 მილიონი დოლარის ინტერვენცია დასჭირდა, რაც შეცდომა იყო. გარდა ამისა, როგორც კი ეროვნულმა ბანკმა პირველი სერიოზული მინიშნება გააკეთა მოსალოდნელი კრიზისის შესახებ, მთავრობამ მისი განცხადება დაგმო და პოლიტიკური შეკვეთის შესრულება დააბრალა. არადა, ეროვნული ბანკის კონსტიტუციური მოვალეობაა, მთავრობის მრჩეველი იყოს. სწორედ ამიტომ გამორჩათ პირველი, სერიოზული გაფრთხილება, რაც ლარის მოსალოდნელ დევალვაციას უკავშირდებოდა. 2013 წელს განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებს, 2014 წელს, რუსეთის კრიზისისა და უკრაინის მოვლენების სახით, გარეფაქტორებიც დაემატა. ამიტომ ამ პერიოდში, ეროვნული ბანკის მიერ, ნოემბერში დაწყებული და დღემდე განხორციელებული 260 მილიონი დოლარის ინტერვენციას, ლარის კურსის სტაბილიზაციაზე გავლენა არ მოუხდენია. რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებებს, ეს პოლიტიკური მოტივით კი არა, ტექნიკური აუცილებლობითაა გამოწვეული. იმის გამო, რომ მთავრობაში მეშვიდე მინისტრი გადადგა, პარლამენტმა ახალ შემადგენლობას ნდობა უნდა გამოუცხადოს. ბუნებრივია, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე. ასეთი ცვლილება განსაკუთრებით ცუდია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის — „იბიარდის“ ფართომასშტაბიანი ღონისძიების წინ, რომელიც 13-15 მაისს უნდა გაიმართოს. საქართველოში ჩამოსულ 50-მდე ქვეყნის ფინანსთა მინისტრსა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებს, გაუფასურებული ლარი და გაწვალებული მოსახლეობა ხვდება. არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის მქონე ქვეყანა კი ყველაზე ცუდი სავიზიტო ბარათია“.**

ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძემ**, „ვერსიას“ განუცხადა, რომ მთავრობას საკმაოდ რთულ პირობებში უწევს მუშაობა. მისი თქმით, ის გამოწვევები, რაც ქვეყნის ეკონომიკის წინაშე დგას, მნიშვნელოვნად ართულებს სრულფასოვანი რეფორმების გატარებას და ეკონომიკურ სურათს ძაბავს. კალანდაძის შეფასებით, ეკონომიკაში პოზიტიური ფაქტორებიც გვაქვს და ნეგატიურიც: **„რაც შეეხება პოზიტივს, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 15%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვანია, რომ წინა წელს არსებული ხარვეზები საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, ანუ დეფიციტური ხარჯვის პოლიტიკა, წელს მოხსნილია. ბოლო კვარტლის შედეგების მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს დეფიციტური ხარჯვითი პოლიტიკა აღარ განუხორციელებია და ამ თვალსაზრისით, საბიუჯეტო პროცესი, როგორც ლარის გაუფასურების ფაქტორი, აღმოფხვრილია. როდესაც ხელისუფლების ეფექტურობას ვაფასებთ, ხშირად ისმის კითხვა, რომ მან გარკვეულ მაჩვენებლებს ვერ მიაღწია და ამიტომ მთავრობა უნდა გადადგეს. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ხელისუფლების ცვლილება, არამედ არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ხელისუფლების ცვლილება თავისთავად წარმოშობს ბევრ, ტექნიკურ პრობლემას, ესაა დროში გაწელილი პროცესი, ამიტომ ხელისუფლების პოლიტიკური ცვლილება კიდევ უფრო დაამძიმებს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და ბიზნესგარემოს. დღეს კრიზის-მენჯმენტის აუცილებლობის საკითხი დგას, გადაწყვეტილებები ძალიან სწრაფად, ფორსირებულად უნდა მივიღოთ, მოკლევადიან პერიოდში „შოკური თერაპია“ უნდა განვახორციელოთ. ხელისუფლების ცვლილება კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას და ლარის კურსთან მიმართებაში, ერთ-ერთ რისკფაქტორადაც მოგვევლინება“.**

ვერსიანიუსი

## მსოფლიო ბანკი საქართველოს მუნიციპალიტეტების ფინანსური გაძლიერების მექანიზმის შემუშავებაში დაეხმარება

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის თანამშრომლობა რეგიონული განვითარების მიმართულებით წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი მსოფლიო ბანკის კონსულტანტს ურბანული განვითარების მიმართულებით იზაბელა ბარატის შეხვდა.

შეხვედრის მიზანი საქართველოს რეგიონების, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის გაცნობა და იმ შესაძლებლობებზე მსჯელობა გახლდათ, რომლის შეთავაზებაც მსოფლიო ბანკს ქვეყნის ხელისუფლებისთვის შეუძლია. მხარეებმა ისაუბრეს დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობასა და მუნიციპალიტეტების ფინანსური გაძლიერების მექანიზმებზე. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მხარდაჭერას აღმოუჩენენ საქართველოს რეგიონების განვითარების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

*„პირველი“*

# ცოლის მკვლელის „განაჩენი“ პატიმრებისგან

## რა პრეტენზია წაუყენა კლასელმა გაიოზს და რაფომ დააბრალა ცოლს ღალატი

### პატიმარი №0578

რამდენიმე თვის წინ ძალადობის მსხვერპლი არაერთი ქალბატონი გახდა. მაშინ ქალებმა ხმა აღიმაღლეს, რაღაც ორგანიზაციებიც შექმნეს, არა ქალთა ძალადობასო, ბოლო ხმაზე ყვიროდნენ, მაგრამ როგორც კი ორიოდე თვე გავიდა ისე, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში ხმაურიანი დანაშაული არ მომხდარა, ეს პრობლემა თითქოს მიივიწყეს. არადა, პრობლემა არ გამქრალა და დღემდე არსებობს.

ზოგადად, ქალს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფთათვის ფასი არ აქვს. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ვინმე ქალზე აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობს. ტერმინი „არ ენდო ქალს“ იმდენად მყარადაა გამჯდარი პატიმართა ქვეცნობიერში, რომ არაერთ მსჯავრდებულს (განსაკუთრებით ძველებს) სვირინგიც კი აქვს წარწერით: „არ ენდო ქალს“.

სიმართლე გითხრათ, არაერთი კაცი ციხეში სწორედ ქალის გამო მოხვდა. ვიღაცამ ვიღაც „ჩაუშვა“, ვიღაცამ კაცს სახლში ჩუმად ნარკოტიკი დაუდო, ვიღაც სასამართლოზე მოწმედ გამოვიდა და რაც მთავარია, წინა ხელისუფლების დროს ცრუ მოწმეთა უმრავლესობა სწორედ ქალბატონი იყო. ისეთი შემთხვევაც არის, როცა ძებნაში მყოფ შვილებს საჭმელში დასაძინებელი წამალი დედამ ჩაუყარა და პოლიციელებს დააჭერინა. მანამდე დედას შეპირდნენ, რომ მისი შვილებისთვის ასე უმჯობესი იქნებოდა და უმძიმესი დანაშაულისთვის ძებნილ ძმებს მხოლოდ ორ წელს მისცემდნენ. დაკავების შემდეგ კი, ერთ ძმას 18 წელი „გამოუწერეს“, მეორეს — 23...

„ეს კაცი, გაიოზა რომ ჰქვია, ცოლის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს და ისე გაჯგიმული დადის, თითქოს არსენა მარაბდელი იყოს და ეს ესაა, გიორგი კუჭატნელი დაამარცხა. დეტალები იცი? არ მინდა ვკითხო, ეჭვი მაქვს, ნერვებს მომიშლის“, — პატიმარი №0578 ზონის მაყურებელს ესაუბრებოდა და თან იმ პატიმარზე ანიშნებდა, რომელიც დაწესებულებაში სულ რაღაც ორი კვირის მიყვანილი იყო.

„ცოლს საყვარელთან შეუსწრო და ესროლა. „ჩესტი“, ღირსება, რა, ეგ დაიცვა და ივლის გაჯგიმული, რატომაც არა. სასამართლომ მხოლოდ რვა წელი მისცა, მაგრამ, იცი, შენ რა მითხარი, არსენა გამიგია და ის გიორგი, რაღაც გვარით რომ თქვი, ვინ არის?!“ — პირიქით ჰკითხა მაყურებელმა.

„გიორგი კუჭატნელი ის არის, ვინც საბოლოოდ არსენა მოკლა. მართალია, იმ კუჭატნელს დაეხმარნენ, მაგრამ მაინც. ეგ მერე წაიკითხე, მანამდე ის მითხარი, მარტო ცოლი მოკლა და კაცი გაექცა?!“ — არ მოეშვა №0578.

„ჰო, კაცი ფანჯრიდან გადახტაო. პირველ სართულზე ცხოვრობს და გაექცა, რა. და თუ ეგ გიორგი დაამარცხა არსენამ, მერე როგორღა მოკლა?!“, — მაყურებელს ისევ მარაბდელი გორდას ამბავი აინტერესებდა.

„როგორ და ჭიდაობაში აჯობა, მაგრამ წლების მერე, წითელ პარასკევს მოკლა. ეს გზაზე სვამდა, იმან ჩამოიარა და მოკლედ, წაიკითხე, რა... და იცი, რა მაინტერესებს? იმის გამო, რომ შენ და შენნაირები თავის დროზე არავის და არაფერს ახარებდით, ბინებს ტეხდით და ქურდობდით, პირველ სართულზე სახლების თითქმის ას პროცენტს გისოსები ჰქონდა და ამ გაიოზას სახლს არ ჰქონდა? თუ ასეთი „უმნიშვნელო“ დეტალით არ დაინტერესებულხართ?!“ — №0578 აშკარად საინტერესო კითხვებს სვამდა.

„არ ვიცი, არ მიკითხავს. ვიღაც ბოზის გულისთვის ამდენი კითხვის დასმა რა პონტია?! და ის გიორგა არ „დაბრიდეს„ მერე არსენას „ბრატებმა“?!“ — დაინტერესდა მაყურებელი.

„კი, „დაბრიდეს“, წაიკითხე-მეთქი და თუ მაგ მიზეზით არ არის მკვდარი ის ქალი, ბოზი რომ არ გამოდის, ხვდები, ხო?!“ — შეეპასუხა №0578.

„მოკლედ, მთელი მაგის უბანი „ბაზრობდა“, რომ ვიღაც კაცთან წაასწრო და „დაბრიდა“. დაიკიდე, რა გისოსი და ჟალუზი აგიტყდა. ისე, არსენას თემა გამისწორდა, „აბაროტი“ რომ აიღეს“, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა მაყურებელმა.

რამდენიმე თვე ისე გავიდა, არც მაყურებელს და არც №0578-ს გაიოზი აღარ გახსენებიათ. მხოლოდ მაშინ გახედავდა ხოლმე №0578 გაიოზს, როცა ის ხმამაღლა და გამოთქმით ამბობდა, ქალს არ უნდა ენდო, ისე გაგყიდის და გიღალატებს, თვალს არ დაახამხამებსო. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვე არ გავიდოდა, რომელიმე პატიმრისთვის არ ეცნობებინათ, ცოლი გაგითხოვდაო და მაშინ ხომ საერთოდ, გაიოზი ყველაზე ამაყი და ბედნიერი იყო, აქაოდა, მე ეგ პრობლემა არ მაწუხებსო.

„შენა, ახალგაზრდა კაცს გაიოზი რატომ დაგარქვეს, თავიდანვე დაგაშავე რამე?!“

— ჰკითხა ერთ დღეს №0578-მა.

„ბაბუის სახელია, რამე პრეტენზია გაქვს?!“ — შეუტია გაიოზმა.

№0578-მა გაოცებით შეხედა და ღიმილით დააყოლა: „პრეტენზია ჯერ არ მაქვს, თუ მექნება, გპირდები, პირველი შენ გაიგებ. ეს ერთი და მეორე, იცი, რა მაინტერესებს, შენს სახლს, სადაც ცხოვრობ, პირველ სართულზე, გისოსები აქვს?!“

„მაგას შენ არავინ გეკითხება, გისოსი აქვს თუ ამოშენებული მაქვს ფანჯრები“, — უფრო გაბრაზდა გაიოზი და №0578-იც ღიმილით დაშორდა. ამ ამბის შემდეგ, გაიოზი პატიმარს როგორც მოსისხლე მტერს, ისე უყურებდა, თუმცა №0578 არაფერს იმჩნევდა და მის დაბოღმილ გამოხედვას ირონიული ღიმილით პასუხობდა.

ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა და მათ შორის გაიოზის კლასელიც იყო. გაიოზამ მის დანახვაზე ხელები გაშალა, სიხარულით დაიძახა, ჩემი ძმაო და გადასახვევად გაიწია, მაგრამ ირაკლიმ (ასე ერქვა კლასელს) ახლოს არ მიუშვა, ცივად ჩამოართვა ხელი და რომელ კამერაში ვარო, იკითხა. ეს ყველაფერი №0578-მა მაყურებელთან ერთად დაინახა.

„აჰა, „პადდელნიკი“ გამოგიჩნდა, როგორც ჩანს, არც ამას „ევასება“ გაიოზა. ისე, რას აიჩემე ეს კაცი, მაინც ვერ ვხვდები?!“ — გაეცინა მაყურებელს, მაგრამ №0578-ს არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს ირაკლი ეზოში გავიდა, ტელეფონზე დარეკა, სახლში ესაუბრა, რუსთავის №17 დაწესებულებაში ვარ, არ ინერვიულოთო და შემდეგ მაყურებლების კამერისკენ აიღო გეზი. №0578 მშვიდად გაჰყვა უკან და მაყურებლების კამერაში ისიც შევიდა.

„ბოზისშვილი ვიყო, ველოდი, რომ დღეს ორივე ერთად დამადგებოდით, რა. რა მოიფიქრეთ, აბა, გაიოზას წინააღმდეგ?!“ — ღიმილით თქვა მაყურებელმა.

ირაკლიმ №0578-ს გაოცებით შეხედა, მერე მაყურებელს მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა: „ამ კაცს არ ვიცნობ, პირველად ვხედავ და რაც შეეხება გაიოზას, მაგის წინააღმდეგ არაფრის მოფიქრება არ მჭირდება, პრეტენზია მაქვს და უნდა წავუყენო“.

„ჰო, მეც მაგას ვამბობ, არც ამას „ევასება“ გაიოზა, მაგრამ დამიჯერე, პირველად ვხედავო რომ ამბობ, სამყაროს შეგაზიზღებს, ისეთ რამეებს გკითხავს, სასამართლოზე პროკურორს რომ არ უკითხავს, გაგაგიჟებს, მაგრამ კეთილი გული აქვს. წიგნი უნდა დავწერო მერეო, ასე ამბობს და მართალია, ჯავახიშვილივით არსენა მარაბდელს ვერ დაწერს, მაგრამ რაღაცას მოახერხებს. ჰოდა, აბა, რა გინდა იმ კაცთან, დაიწყე და მოყევი, არ მოგერიდოს“, — გაამხნევა მაყურებელმა.

„მე, გაიოზა და ლელა კლასელები ვიყავით და...“ — დაიწყო ირაკლიმ, მაგრამ №0578-მა არ დაამთავრებინა.

„როგორც ვხვდები, ლელა ის ქალია, გაიოზამ რომ მოკლა, ანუ მაგის ცოლი?!“

„ჰო, ეგ არის და...“ — ირაკლის ახლა მაყურებელმა არ აცადა საუბარი.

„ხომ გითხარი, ნიჭიერია-მეთქი“, — ჩაურთო ირაკლის.

„ბოლომდე მათქმევინეთ. მოკლედ, ჩვენ კლასელები ვიყავით. მე და ლელას ერთმანეთი გვიყვარდა, მაშინ მოტაცება იყო მოდაში და ამ სირმა მოიტაცა. მეც ცოლი მოვიყვანე და გაგრძელდა ასე. ერთხელაც არ მიფიქრია, ლელასთვის რამე მეკადრებინა, იმდენად მიყვარდა, ამას ვერც კი ვიფიქრებდი. ჰოდა, ერთ დილას გავიგე, გაიოზამ ღალატისთვის ლელა მოკლაო. იცით, რატომ არ დავიჯერე? ათ წელზე მეტი მიყვარდა ის გოგო, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და მისი ხასიათი კარგად ვიცოდი. გამორიცხულია, გაიოზა კი არა, ქალაქის უკანასკნელი ნაძირალა რომ ჰყოლოდა ქმრად, არ უღალატებდა. ის კიდევ ამტკიცებდა, კაცთან ერთად იყო და „დავბრიდეო“...

„იცი, რა მაინტერესებს? გაიოზას სახლს გისოსები აქვს? რომ იძახის, გაიქცაო, გისოსები თუ აქვს, ეგ მაინტერესებს“, — ისევ გააწყვეტინა №0578-მა.

„გისოსები აქვს, მაგრამ კარიდან გაიქცაო, ასე თქვა სასამართლოზე. ეგ არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი ის არის, რომ გაიოზას ჰყავდა ქალი სახლში, ლელა დაბრუნდა და ისტერიკა რომ მოუწყო, მაშინ ესროლა ამ პირუტყვმა. ის ქალი ვნახე, ვიპოვე, ვათქმევინე. ვიცოდი, ვინც იყო და იმალებოდა ამ ამბის შემდეგ. ვიღაც კაცის დნმ იპოვა პოლიციამ და იპოვიდა უეჭველი, ყოველ საღამოს ქეიფი და დროსტარება იყო იმ სახლში. მოკლედ, ყელს გამოვჭამ მაგ გაიოზას, ოღონდ თქვენ გაყენებთ ჯერ საქმის კურსში“.

№0578 ჩუმად გავიდა კამერიდან და ხუთ წუთში გაიოზასთან ერთად დაბრუნდა. მაყურებელმა ირაკლის ისტორია ხელმეორედ მოაყოლა, გაიოზი მხოლოდ იმას ამბობდა გაუჩერებლად, ტყუილია, ტყუილიო და როცა მეტი ვერაფერი თქვა, მაყურებელმა სილა გააწნა. შემდეგ ირაკლი ეცა და №0578-მა რამდენჯერმე გააჩერა, მოკლავ ამ არაკაცს და „სროკს“ დაგიმატებენო, თუმცა იმას არაფერი ესმოდა. საბოლოოდ, გაიოზი ტვინის შერყევით და ჩამტვრეული ნეკნებით ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„რომ გეუბნებოდი, არ მომწონს ეგ კაცი მეთქი, რად არ მიჯერებდი პატივცემულო?!“ — ჰკითხა მაყურებელს №0578-მა.

„დაიკიდე, რა. შენ რა გგონია, აქ ყველა წმინდანია?! ყველა რაღაცას მალავს“, — სიტყვა ბანზე აუგდო მაყურებელმა.

„შენ რას მალავ?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ეგ რომ გითხრა, მერე შენი მოკვლა მომიწევს“, — სიცილით თქვა მაყურებელმა და კამერისკენ წავიდა.

ვერსიანიუსი

## შსს-მ ახალი ნარკოტიკული საშუალება „ენ-8“-ის რეალიზატორი და მომხმარებელი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, ამერიკის მოქალაქე გიორგი მ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის ბრალდებით, ხოლო 1981 წელს დაბადებული გიორგი ხ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ხ-მ გიორგი მ-სგან ახალი ნარკოტიკული საშუალება „ენ-8“ შეიძინა. სამართალდამცველებმა გიორგი მ-ს დედის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ენ-8“-ის 15 ფირფიტა ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,12 გრ ბუპრენორფინს შეიცავს, ხოლო გიორგი ხ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია გიორგი მ-სგან შეძენილი 1 ფირფიტა, რომელიც 0,008 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ამერიკიდან დედასთან სტუმრად ჩამოსული გიორგი მ. ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. ნარკოლოგიური შემოწმებით გიორგი მ-ს ბუპრენორფინის, ხოლო გიორგი ხ-ს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება გიორგი მ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, მოხმარებისა და გასაღების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), ხოლო გიორგი ხ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და მოხმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

## შსს დაკარგულ პიროვნებას ეძებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეძებს უგზოუკვლოდ დაკარგულ, 1983 წელს დაბადებულ დიმიტრი თემურის-ძე ბასილაძეს, რომელიც 2015 წლის 26 თებერვალს ქალაქ ქუთაისში სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. დიმიტრი ბასილაძე ქუთაისში, ძოძუაშვილის ქუჩა №4/2-ში ცხოვრობს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო უგზოუკვლოდ დაკარგული პირის სამძებრო ღონისძიებები. სამართალდამცველები 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ დიმიტრი ბასილაძის საძიებო მოქმედებებს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს, როგორც ეკიპაჟების, ასევე მეტროპოლიტენის პატრულის თანამშრომლებს, ყოველდღიურად მიეწოდებათ ინფორმაცია დაკარგული პირის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მასშტაბით ინფორმირებულია კრიმინალური პოლიციის ყველა დანაყოფი, ყოველდღიურად მოწმდება როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში შესული ინფორმაციები. სამართალდამცველების მიერ მიმდინარეობს გარესათვალთვალო კამერებიდან ვიდეომასალის ამოღება და გაშიფვრა. დიმიტრი ბასილაძის აღწერილობაა: საშუალო აღნაგობის, ღია ფერის კანით, სიმაღლე — 170 სმ, ღია წაბლისფერი მოკლე თმით, თაფლისფერი თვალებით, მოკლე ცხვირი, მუქი ფერის წარბები, თხელი ტუჩები, რომლის ზედა ნაწილში აღენიშნება მცირე ზომის ხალი. ტანთ ეცვა: ლურჯი ფერის ქურთუკი, ნაცრისფერი, ნაქსოვი სვიტერი, ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი და ტყავის მაღალყელიანი ფეხსაცმელი. თუ ვინმეს გაგაჩნიათ ინფორმაცია დაკარგული დიმიტრი ბასილაძის შესახებ, დაგვიკავშირდით ნომრებზე: 577 58-69-99 0 (431) 29-60-60.

*„ვერსიანიუსი“*

# ანაბრებსაც დაბეგრავენ?

## როგორია საერთაშორისო პრაქტიკა და რატომ არ უჭერს იდეას მხარს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ეკონომიკის ექსპერტების ნაწილი საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრას ითხოვს. საზოგადოებაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ამგვარ დაბეგვრას დადებითად, ზოგიც უარყოფითად აფასებს. ეკონომიკის ექსპერტების განცხადებით, საბანკო დეპოზიტების საშუალო განაკვეთი 6%, ხოლო კრედიტების საშუალო განაკვეთი 14.5%-ია. ამჟამად, საბანკო სექტორში არსებული დეპოზიტების მოცულობა, დაახლოებით, 13 მილიარდ ლარს აღწევს, მათი 67% დოლარშია განთავსებული.**

დეპოზიტებიდან ანუ საბანკო ანაბრებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრის იდეა საბანკო საკითხების ექსპერტს, ლია ელიავას ეკუთვნის, რომელმაც „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ შესაბამისი ცვლილებები უნდა განახორციელოს საგადასახადო კოდექსში, რასაც მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. მისი თქმით, საბანკო ანაბრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები იმიტომაც უნდა დაიბეგროს, რომ ეს თანხა ეკონომიკის რეალურ სექტორში ჩაიდოს:

**„ანაბრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრა საქართველოში უნიკალური მოვლენა არ არის. 2007 წლამდე ამ ტიპის შემოსავალი 10%-იანი განაკვეთით იბეგრებოდა, მაგრამ საგადასახადო კოდექსის ცვლილების შემდეგ, დიდი შეღავათი გაუწიეს საბანკო სექტორს, კომერციულ ბანკებს, რათა მათი საქმიანობა გაადვილებულიყო. დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრის გაუქმების შედეგად, საბანკო სექტორი უფრო სწრაფად და ინტენსიურად განვითარდა, ვიდრე მთლიანად ეკონომიკა. პრაქტიკულად, ეკონომიკური სტრუქტურა დაირღვა, რადგან არ შეიძლება, ეკონომიკაში მხოლოდ ერთი დარგი განვითარდეს, სხვა დარგები კი დაკნინდეს. დეპოზიტები ანუ ანაბრები, საინვესტიციო-ეკონომიკური საქმიანობაა, რადგან ანაბრის სახით, ბანკში ფულს ინახავ და მოგვიანებით, შემოსავალს იღებ. ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ეკონომიკური საქმიანობა იბეგრება, არ შეიძლება, ერთი ეკონომიკური საქმიანობა დაიბეგროს, მეორე კი უმიზეზოდ, ყოველგვარი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე გათავისუფლდეს გადასახადისგან“.**

ლია ელიავამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ ცვლილების ფისკალური შედეგი საკმაოდ უმნიშვნელო იქნება. თუ ქვეყანაში საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი დაიბეგრება, ამით სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი თანხა ნამდვილად არ შევა. სამაგიეროდ, ეს გადასახადი იმის სტიმულს გააჩენს, რომ ფიზიკურმა და განსაკუთრებით იურიდიულმა პირებმა საკუთარი თანხა უმოქმედოდ კი არ შეინახონ საბანკო ანგარიშებზე, არამედ ეკონომიკაში ჩადონ ანუ ფული ეკონომიკისთვის აამუშაონ.

ლია ელიავა: **„ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, კომერციული ბანკებიც ხომ იყენებენ დეპოზიტებს ეკონომიკის დასაფინანსებლად. სინამდვილეში, კომერციული ბანკები, ძირითადად, სავაჭრო სექტორს აფინანსებენ. მართალია, ვაჭრობაც ეკონომიკის ნაწილია, მაგრამ მთლიანი ეკონომიკა არ არის. ეკონომიკა რომ განვითარდეს და მოსახლეობის კეთილდღეობა გაიზარდოს, ეკონომიკის რეალური სექტორის — სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და მრეწველობის დაფინანსებაა აუცილებელი, რასაც საბანკო სექტორი ნაკლებად აკეთებს. რატომ არ აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებელი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე? რატომ ვერ გრძნობენ ადამიანები ეკონომიკურ ზრდას თავის კეთილდღეობაზე? ეს იმის ბრალია, რომ მშპ იზრდება მომსახურების, ძირითადად, საფინანსო სექტორის მომსახურების ხარჯზე. არადა, დოვლათს მომსახურება კი არა, ეკონომიკას რეალური სექტორი ქმნის. დეპოზიტები, რომლებიც უქმად დევს ბანკში, ეკონომიკისთვის არ მუშაობს, კომერციული ბანკებიდან მათი ეკონომიკური მეთოდებით ამოღება და ეკონომიკის რეალურ სექტორში გადატანა, მნიშვნელოვნად გაზრდიდა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის დონეს“.**

ლია ელიავას განმარტებით, დეპოზიტების დაბეგვრის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. რაც შეეხება დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრის რეჟიმს, განვითარებულ ქვეყნებში ის დიფერენცირებულია და 15%-30%-ის ფარგლებში მერყეობს: **„ფაქტია, დეპოზიტები უნდა იბეგრებოდეს და ჩვენს ქვეყანაში ეს ისევე აუცილებელია, როგორც დეპოზიტების სახელმწიფო გარანტირების სისტემის შემოღება, რომელსაც მსოფლიოში მხოლოდ საქართველომ ვერ დაადგა თავი. საბანკო დეპოზიტების გარკვეულ მოცულობას ყველა ქვეყანა აზღვევს, რათა საკუთარი კლიენტები საფინანსო ინსტიტუტის, ანუ ბანკის გაკოტრებისგან დაიცვას. თუ ბანკი გაკოტრდება, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დეპოზიტების გარკვეული ნაწილი აუნაზღაუროს. მაგალითად, აშშ-ში გარანტირებული თანხა 100 000 დოლარის ოდენობის დეპოზიტია, ევროკავშირის ქვეყნებში — 50 000-დან 100 000 ევროს ფარგლებში მერყეობს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ჩვენს მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაშიც მოქმედებს, მაგრამ, როგორც გითხარით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ასეა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ეს სისტემა ვერ შემოიღო. სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს, მთავრობამ გვერდზე გადადო და ძირითადად, წვრილმანებზე, ჯარიმების დადგენაზე გადავიდა, რაც დადებითი ტენდენცია არ არის“.**

ლია ელიავას ამ ინიციატივას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ეკონომიკის ექსპერტების დიდი ნაწილი ამ იდეას მხარს უჭერს, მაგრამ მოწინააღმდეგეებიც არიან. მართლაც, რატომ უნდა დაიბეგროს დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულმა ადამიანმა, დიდი შრომის შედეგად, თავი მოუყარა თანხის გარკვეულ ნაწილს და კომერციულ ბანკში შეინახა? ხელფასიდან მას ხომ ისედაც ექვითება საშემოსავლო გადასახადი? გამოდის, თუკი ადამიანი საკუთარ ნაშრომს ბანკში ანაბრის სახით შეიტანს, ორმაგად უნდა დაიბეგროს? **ლია ელიავა: „ასე არ არის. ამ იდეით, დეპოზიტების დაბეგვრას კი არა, დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრას ვგულისხმობ, რომელიც უნდა დაიბეგროს. ესაა ნამეტი პროცენტი, რასაც ბანკი კლიენტს დეპოზიტებზე ურიცხავს, ის ახლადშექმნილი შემოსავალია. აბსოლუტურად მართალი ხართ, დეპოზიტებსა თუ ანაბრებზე განთავსებული თანხა უკვე დაბეგრილია, ამიტომ დეპოზიტების დაბეგვრა არც მიფიქრია. დეპოზიტი, რომელიც კომერციულ ბანკშია ჩადებული, ინვესტიციაა, რომელსაც შემოსავალი მოაქვს. ეს შემოსავალი კი სხვადასხვა ფორმითა და მექანიზმით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბეგრება“.**

საინტერესოა, დაიბეგრება თუ არა მშობლების მიერ, მცირეწლოვანი შვილის სახელზე გახსნილ ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი? ლია ელიავამ „ვერსიას“ განუმარტა, რომ ამ იდეის სახით, ზოგადად ამ ტიპის გადასახადის პრინციპზე საუბრობს, თორემ ისეთი დეტალები, როგორიცაა მშობლების მიერ შვილის სახელზე გახსნილი ანაბარი, შემდგომი გააზრებისა და მსჯელობის საგანია: **„ამ იდეას საზოგადოების მწვავე რეაქცია იმიტომ მოჰყვა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჭირვებულია, რომლებსაც საკუთარი შემოსავალი ხელფასიდან ხელფასამდეც კი არ ჰყოფნით. მეტიც, საქართველოში იმ ადამიანებსაც კი უჭირთ, რომლებიც შემოსავალს ბიზნესიდან იღებენ და ნეგატიური რეაქციაც სწორედ ამის ბრალია. თავის დროზე, როდესაც ხელისუფლებამ საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლების დაბეგვრა გააუქმა, დიდი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს შეცდომა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ხელისუფლებამ მოსახლეობას უნდა აუხსნას, რომ ეს ცივილური, ნორმალური ქვეყნის პრაქტიკაა. ჩვენ რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, იმას ნიშნავს, რომ ჩვენი და ევროპის კანონმდებლობა ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს. გიმეორებთ, დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი ყველგან იბეგრება. უარესსაც გეტყვით, აშშ თავის გადამხდელებს მთელ მსოფლიოში კუდში დასდევს და სწორედ მისი წყალობით, ისეთი ცნება, როგორიცაა საბანკო საიდუმლოება, წაიშალა კიდეც. ამერიკამ შვეიცარიის ბანკებსაც კი გაახსნევინა საკუთარი მოქალაქეების ანგარიშები, რომლებიც უცხოეთის ბანკებში ფულს მალავდნენ და გადასახადებს არ იხდიდნენ. არადა, გადასახადების გადახდა წმიდათაწმინდა მოვალეობაა ყველა ცივილურ ქვეყანაში. საქართველოს მოსახლეობა ამ პრაქტიკას თანდათან უნდა შეეჩვიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა ცივილური ვერ გახდება. ვიმედოვნებ, საქართველოს ეკონომიკა, მისი მართვის მექანიზმები და კანონმდებლობა, ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკას მაქსიმალურად დაუახლოვდება, სხვა შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას არაფერი ეშველება“.**

საინტერესოა, როგორ აფასებს ლია ელიავას ამ იდეას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე,** რომელმაც „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, კითხვას, უნდა იბეგრებოდეს თუ არა დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი და რამდენად სწორია ეს ინიციატივა, ამგვარად უპასუხა:

„2007 წლამდე, საპროცენტო სარგებლით მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ შემოსავლად ითვლებოდა და დაბეგვრის განაკვეთი 10% იყო. საგადასახადო რეფორმის ფარგლებში, ეს გადასახადი გავაუქმეთ, რამაც პოზიტიური როლი შეასრულა. მეტიც, თუ გვინდა, ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება რეგიონული ფინანსური ჰაბი იყოს, ასეთ იდეებზე არ უნდა ვიფიქროთ! ჩვენს საბანკო სექტორს, ზუსტად იმის გამო, რომ სწორი რეგულირება აქვს, რადგან ბანკები კარგადაა კაპიტალიზირებული, სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც ენდობიან და არარეზიდენტი დეპოზიტების წილი მუდმივად იზრდება საქართველოს საბანკო სისტემაში. საუბარია ასეულობით მილიონზე. ესაა თანხა, რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართულ საბანკო სივრცეში ინახავენ, რაც ნიშნავს, რომ ეს თანხა ქართული ეკონომიკის დაფინანსებას ხმარდება“.

ვერსიანიუსი

## პირველი კვარტლის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 3,2% შეადგინა

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2015 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის მარტის ეკონომიკური ზრდის შესახებ წინასწარი ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მარტში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,3 %, ხოლო 2015 წლის I კვარტლის საშუალო რეალურმა ზრდამ 3,2 % შეადგინა: **„2012 წლის იანვრიდან საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან“.**

გარდა ამისა, საქსტატის ინფორმაციით, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ს გადამხდელი სანარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.

*bpn.ge*

## ლარის კურსი მალე დასტაბილურდება

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური იმედოვნებს, რომ ლარის კურსთან დაკავშირებით ვითარება მალე დასტაბილურდება. **„ეროვნული ბანკი და მთავრობის ეკონომიკური გუნდი მუშაობს ამასთან დაკავშირებით და იმედი მაქვს, ძალიან მალე დასტაბილურდება სიტუაცია“,** — აცხადებს ნოდარ ხადური.

ფინანსთა მინისტრმა მცირე კომენტარი გააკეთა, თბილისში სამხრეთ კავკასიაში ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლობის ოფისის გახსნის საკითხზეც. მისი შეფასებით, თბილისი იბრუნებს რეგიონული ჰაბის ფუნქციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია: **„თბილისში, სამხრეთ კავკასიაში ევროპის საინვესტიციო ბანკის ოფისი იმუშავებს, ის დაფარავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად კავკასიას. მნიშვნელოვანია, რომ თბილისი იბრუნებს რეგიონული ჰაბის ფუნქციას, მათ შორის საბანკო სექტორში“.**

*bpn.ge*

# აუტისტების ხარჯზე აწყობილი ბიზნესი

## მშობლები ABA-თერაპიის გაძვირებას აპროტესტებენ

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ქვეყნის ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევა, როგორც ჩანს, აუტისტური სპექტრის ბავშვების გვერდში დგომა პრიორიტეტული სულაც არაა. შესაძლოა, ამ სიტყვებმა ვიღაცების გაღიზიანება გამოიწვიოს, მაგრამ ჯანდაცვისა თუ მერიის მიერ მათთვის გამოყოფილი დახმარება ზღვაში წვეთი რომაა, ფაქტია. „ვერსიას“ თეონა გორგაძე დაუკავშირდა, რომლის 4 წლის ნიკოლოზი აუტისტია და ამჟამად ნეიროგანვითარების ცენტრში გადის ABA-თერაპიის კურსს, თუმცა მათ ახლახან შეიტყვეს, რომ თითოეული გაკვეთილის საფასური 3 ლარით გაძვირდა და 29 ლარი გახდა. ვიღაც იტყვის, დიდი ამბავი, სამი ლარი რა სალაპარაკოაო, მაგრამ იმ ბავშვებისთვის, ვისაც ცენტრში ყოველდღე უწევს სიარული, მკურნალობა საგრძნობლად გაძვირდა და ამან მშობელთა პროტესტი გამოიწვია. ისინი ამბობენ, რომ დირექციის უსუსური არგუმენტი, ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით, მიუღებელია და პროტესტს მანამ არ შეწყვეტენ, სანამ კონსენსუსამდე არ მივლენ, **„ბავშვებს თერაპიაზე არ ვატარებთ, სანამ ჩვენს ინტერესებს არ გაითვალისწინებენ და ეს ბოიკოტი როდემდე გაგრძელდება, არ ვიცით“,** — აცხადებენ ისინი და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავად ცენტრის მუშაობასა თუ სპეციალისტებთან არანაირი პრეტენზია არ აქვთ: **„ცენტრთან არანაირი პრეტენზია არასოდეს მქონია, უძლიერესი სპეციალისტები ჰყავთ, სისუფთავე, ბავშვთან მიდგომა, მშობლებთან დამოკიდებულება... უბრალოდ, შეგვაშფოთა გაკვეთილის გაზრდილმა ღირებულებამ — აქამდე 26 ლარს ვიხდიდით, ახლა 29-ის გადახდა მოგვიწევს. სამი ლარი თითქოს დიდი თანხა არ არის, მაგრამ აუტისტ ბავშვებს ინტენსიური ვარჯიში სჭირდებათ, ზოგს ყოველდღე დაჰყავს ბავშვი ცენტრში და მათ ბიუჯეტზე გაზრდილი გადასახადი ნამდვილად იმოქმედებს“.**

მშობელთა პრეტენზია გასაგებიცაა და საფუძვლიანიც, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ მკურნალობის ხარჯი მძიმედ აწევთ კისერზე და ჯანდაცვის სამინისტროსა თუ მერიის მიერ გამოყოფილი მცირე დახმარება ზღვაში წვეთია. **„მერია ან ჯანდაცვის სამინისტრო სამას ლარს რომ გადმოგვიგდებს, ნამდვილად ზღვაში წვეთია, ისანი-სამგორის გამგეობასაც არაერთხელ მივმართე, თუმცა მათ პასუხის ღირსადაც კი არ ჩამთვალეს და მშობელთა უმრავლესობას აწუხებს ეს პრობლემა. ფაქტია, ცენტრში ბავშვებს ვეღარ ვატარებთ და თუკი ასეთი უმნიშვნელოა თითოეული ბავშვის განვითარება ცენტრისთვის, სამწუხაროა ასეთი დამოკიდებულება. ჩვენი პროტესტი დირექციამ იცის, მაგრამ ამბობენ, რომ სხვა გზა არ აქვთ. მე კი ვფიქრობ, რომ უბრალოდ იმედი აქვთ — თითოეული მშობელი ყველაფერს გააკეთებს, რათა შვილს მიხედოს და ასე გვაჭერენ წიხლს“,** — აცხადებს თეონა გორგაძე და წუხს, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ვიღაცებისთვის ბიზნესის კეთების არაჩვეულებრივ საშუალებად იქცა.

რითაა გამოწვეული ასეთი ინდიფერენტზმი და რას წარმოადგენენ აუტისტი ბავშვები სახელმწიფოსთვის? მიუხედავად ბრტყელი ფრაზებისა, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება და მოვლა სჭირდებათ, ფაქტები სწორედაც რომ აგდებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

**„აუტისტი ბავშვების პრობლემებს სერიოზულად არ აღიქვამენ, რადგან უნარშეზღუდულები არ არიან, დამოუკიდებლად გადაადგილება თუ ერთი-ორი ფრაზის წარმოთქმა შეუძლიათ და ესე იგი, მკურნალობასაც არ საჭიროებენ; ზოგიერთისგან ისიც კი მსმენია — მაინც არაფერი ეშველება და რისთვის გავისარჯოთო... მითხარით, ესაა ჯანსაღი დამოკიდებულება?!“,** — კითხვას სვამს თეონა გორგაძე და სამწუხაროდ, პასუხის გამცემი არავინაა.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად, ნეიროგანვითარების ცენტრის დირექტორს, **ეკა არველაძეს** მივმართეთ, რომლის პასუხებსაც უცვლელად გთავაზობთ: **„ფასის მატება გამოწვეულია იგივე მიზეზით, რის გამოც ზოგადად, ქვეყანაში მოხდა ფასების მატება. სამწუხაროდ, აუტისტური სპექტრის მქონე პაციენტები მკურნალობის პროცესში საჭიროებენ საკმაოდ დიდ მატერიალურ რესურსს, არამარტო სამუშაო რეკვიზიტების სახით, როგორიცაა სპეციალური სათამაშოები, სპეციალური წიგნები, სხვადასხვა საგანმანათლებლო მოწყობილობა, რომელიც ძალიან სწრაფად ნადგურდება მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ ტექნიკურ ნაწილშიც, ვინაიდან მუდმივად საჭიროა შენობის სარემონტო სამუშაოები, ავეჯის შეცვლა და ა.შ. კერძო კლინიკა ვართ და გვაქვს ჩვენი სტანდარტი — გვყავს ძალიან მაღალი დონის, მაღალანაზღაურებადი სპეციალისტები, რომელთაგან რამდენიმეს ჩვენი ცენტრი უფინანსებს სწავლის საფასურს აშშ-ს მაღალი დონის სასწავლებელში, მუდმივად ტარდება უცხოელი სპეციალისტების ტრენინგები მკურნალობის თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და ათვისებისთვის. ახლაც 2 მაისიდან ველოდებით სპეციალისტს ჰოლანდიიდან... ეს ყველაფერი განაპირობებს სწორედ იმ კმაყოფილებას, რაც აქვთ პაციენტებსა და მათ მშობლებს ჩვენი ცენტრის მიმართ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს საჭიროებს ფინანსებს... მესმის, ფასის მცირედი ზრდაც კი მძიმეა ჩვენი პაციენტებისთვის, მაგრამ სინამდვილეში, ეს არის მხოლოდ მომატებული ხარჯის ასახვა, იმ დონის შენარჩუნებისთვის, რომელიც აქამდე გვქონდა“.** მაღალი სტანდარტები რომ უნდა არსებობდეს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ურიგო არ იქნება, ძლიერნი ამა ქვეყნისა ადგილობრივების ეკონომიკურ მდგომარეობასაც თუ გაითვალისწინებენ. ეკა არველაძეს კარგად მოეხსენება, რომ მშობლები თერაპიის გაძვირებას აპროტესტებენ, თუმცა რამდენად აპირებს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას, ესაა საკითხავი: **„სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მქონია შეხვედრა მშობლებთან, თუმცა ზემოთ აღწერილი არგუმენტები, ვფიქრობ, თავისთავად მეტყველებს ამ არაპოპულარული გადაწყვეტილების აუცილებლობაზე“...** პოზიცია გასაგებია ისევე, როგორც მშობლების პროტესტი, რომელსაც, არავინ იცის, როგორი გაგრძელება ექნება. მანამდე კი ამბობენ, დირექციიდან ჭორად გამოვიდა — სადაც უნდათ, იქ წავიდნენ, სხვები მოვლენო, რამაც მშობელთა მეტი აგრესია გამოიწვია, ეკა არველაძემ კი გვიპასუხა: **„პაციენტის ფუნდამენტური უფლებაა, აირჩიოს სამკურნალო დაწესებულება. ეს არჩევანი ჩვენს პაციენტებს დღესაც აქვთ და ფასის გაზრდა-შემცირება ამასთან არავითარ კავშირშია. არის იგივე მიმართულებით მომუშავე დაწესებულებები, სადაც ფასი ჩვენ კლინიკაზე დაბალია და დაწესებულებები, სადაც ფასი ჩვენ კლინიკაზე მაღალია. ნეიროგანვითარების ცენტრი ინარჩუნებს საშუალო მაჩვენებელს, როგორც ეს იყო აქამდე“.**

**„ასეთი დამოკიდებულება ძალიან გულდასაწყვეტია ორიენტირებულები არიან ამაზე და ალბათ, დღედაღამ ლოცულობენ, რაც შეიძლება მეტი აუტისტი ბავშვი შეუვიდეთ“,** — ასეთია თეონა გორგაძის პასუხი ნეიროგანვითარების ცენტრის დირექციას, რომელიც სხვა მშობლებთან ერთად, 1 მაისს, 11 საათზე ბავშვის გარეშე მივა ცენტრში და დაელოდება, ოდესმე წავა თუ არა ეკა არველაძე კომპრომისზე. არადა, აქამდე არსებული ტარიფით რომ ვიმსჯელოთ და ისიც გავითვალისწინოთ, მენტალური განვითარების ცენტრში 250 ბავშვი კვირაში მინიმუმ ორჯერ რომ დადის, მათგან შესული თანხა კი კვირაში 13 ათასი ლარია, ნაკლებსავარაუდოა, დირექციისთვის ამ თანხის დაკარგვა არაფერს ნიშნავდეს... ჰუმანიზმს რომ თავი დავანებოთ, ბიზნესი მომგებიანი მაშინაა, თუ შემოსავალი მოაქვს და თუ ვაღაცებისთვის აუტისტური სპექტრის მქონე პატარა პაციენტები მხოლოდ და მხოლოდ ოქროს საბადოა და ხელსაც არავინ უშლის მათი ჯანმრთელობის ხარჯზე „ბიზნესის კეთებაში“, ისღა დაგვრჩენია ასეთ ქვეყანას მივუსამძიმროთ.



# პნევმოკოკით 2 ადამიანი გარდაიცვალა

## როგორ ვებრძოლოთ ინფექციას და რამდენად უსაფრთხოა ვაქცინაცია

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**რამდენიმე დღის წინ თბილისში პნევმოკოკის შემთხვევები დაფიქსირდა და აქედან ორი ლეტალობით დასრულდა. ერთ-ერთი გარდაცვლილი საბავშვო ბაღის აღმზრდელი იყო, რის გამოც ბაღში ყველა ბავშვს ჩაუტარდა შესაბამისი გამოკვლევა. დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა პნევმოკოკური ინფექციის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ მისი გამომწვევია ბაქტერია Streptococcus neumonia და ყველაზე გავრცელებული კლინიკური გამოვლინება პნევმოკოკური პნევმონიაა. ფილტვების ანთების გარდა, პნევმოკოკი ხშირად იწვევს მენინგიტს, ბაქტერიემიას, სეპტიცემიას, შუაყურის ინფექციას, სინუსიტსა და ბრონქიტს.**

ინფორმაცია უდავოდ სასარგებლოა და მოსახლეობაც საქმის კურსში უნდა იყოს, რასთან აქვს საქმე, მაგრამ საკითხავია, რამდენად გვაქვს შეშფოთების საფუძველი, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ პნევმოკოკური ბაქტერიემიით მოზრდილი ადამიანების გარდაცვალების 2 შემთხვევა, უკვე ლაბორატორიულად დადასტურდა.

როგორც ირკვევა, ჯანმრთელი ადამიანების 70 პროცენტის ცხვირსა და ხახაში ბინადრობს პნევმოკოკი, რომელიც გადაეცემა ადამიანიდან ადამიანზე ახლო კონტაქტისას, წვეთოვანი გზით. ხოლო პნევმოკოკური დაავადების განვითარებისა და ლეტალური გამოსავლის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან 5 წლამდე, განსაკუთრებით კი ორ წლამდე ბავშვები და ხანდაზმულები.

სხვა რისკჯგუფებია ბავშვები და მოზრდილები, რომელთაც აქვთ გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი, ღვიძლის ციროზი, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, ჰოჯკინის (ლიმფოგრანულომატოზი) დაავადება, სპლენექტომია, ნამგლისებული ანემია, ონკოჰემატოლოგიური დაავადებები; ხელოვნურ კვებაზე მყოფი ჩვილები, აივ-ინფიცირებულები, ალკოჰოლდამოკიდებული პირები, მწეველები, 65 წელზე უფროსი ასაკის პირები. რაც შეეხება პრევენციას, რისკის შემცირება შეიძლება ხელის ხშირი დაბანით; მხოლოდ ძუძუთი კვებით, პირველი 6 თვის განმავლობაში; სახლის პირობებში ჰაერის დაბინძურების შემცირებით; სიმპტომების შესაბამისი მკურნალობით, საუკეთესო პრევენცია კი ვაქცინაციაა.

„ვერსიამ“ კომენტარისთვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელს, **პაატა იმნაძეს** მიმართა:

**— ბატონო პაატა, პნევმოკოკური ინფექციის რამდენი დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული?**

— ჩვეულებრივ, წელიწადში 10-12 შემთხვევა ფიქსირდება და ძირითადად, ესაა პნევმოკოკური ბაქტერიის მიერ გამოწვეული მენინგიტები. როდესაც ინფექცია გადადის სისხლში, ასეთი ფორმები იშვიათია, ხოლო ინფექცია ძირითადად ბავშვებში გვხდება, იშვიათად დიდებშიც. წელს სეპტიცემიის ორი შემთხვევა იყო და დადასტურებულია მენინგიტის შემთხვევაც.

**— ყოველწლიური მაჩვენებლის მიუხედავად, ახლა უფრო მეტი პანიკაა, რატომ?**

— იმიტომ, რომ ერთ კვირაში დაფიქსირდა ორი ფატალური შემთხვევა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია ქალაქში.

**— მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებით. საქართველოს მოსახლეობისთვის თუა გათვალისწინებული აცრები?**

— ძირითადად, ეს ბავშვების დაავადებაა და ამიტომ, გასული წლის ბოლოდან 2 თვიდან ბავშვებისთვის გეგმურ აცრებში ჩავრთეთ, რომელიც წლამდე სამჯერ მეორდება. არის სხვა ვაქცინა, რომელიც მოზრდილებში გამოიყენება, კომერციულ სტრუქტურებს ჩამოაქვთ და რისკჯგუფებს შეუძლიათ აიცრან.

**— მოზრდილებისთვის აცრა ფასიანია?**

— რა თქმა უნდა, თუმცა ფასი არ ვიცი, სამწუხაროდ.

**— რამდენად უსაფრთხოა ეს ვაქცინები?**

— აბსოლუტურად გამორიცხულია, უხარისხო ვაქცინა შემოვიდეს. ჩვენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ვაქცინა შემოგვაქვს, რომელსაც განვითარებული ქვეყნები აწარმოებენ.

**— თქვენ თუ ურჩევდით მოსახლეობას, რომ ჩაიტარონ ვაქცინაცია?**

— ეს ბაქტერია ყველას გვაქვს ცხვირ-ხახაში და არაფერს გვიშავებს, მხოლოდ ერთეულები ავადდებიან, კონკრეტულად ვინ იქნება, ამის გათვლა ძალიან ძნელია, თუმცა ევროპის რიგ ქვეყნებში რისკჯგუფებს ურჩევენ, რომ აიცრან.

**— გამოდის, მოზრდილებისთვის აცრასაც არ ჰქონია აზრი. პანიკის საფუძველი არ გვაქვს?**

— პანიკის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს... მესმის, ორი ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ წელიწადში 2-3 შემთხვევა გვაქვს ფატალური.

ქვათა მატიანე

# ძველი ტაძარი ძველი ფესვია!..

## ჭერემის ქვეყანა

გელა ქოქიაშვილი

მალე ტყეს ფოთოლი აღარ შერჩება და ჩემი ჭერემის ქვეყანაში მოგზაურობაც დასრულდება. ბევრი ვნახე, მაგრამ სანახავიც ბევრი მრჩება. ამიტომ, ვცდილობ, რომ კალაურსა და ვაჩნაძიანში ბოლო დღესაც მხოლოდ ძველთაძველი ეკლესიები შემოვიარო.

დილიდანვე კი მოიღრუბლა, მაგრამ ზამთრისპირზე თუ გაწვიმდებოდა, რას ვიფიქრებდი. არადა, ამ დროს ტყეში წვიმა აუტანელია, ხმელი ფოთლები ყინულზე უარესია.

კალაურის „ნათლისმცემლისკენ“ მიმავალ ნაცნობ გზაზე მანქანით დიდხანს არ გვივლია. ტყეში მარჯვნივ გადაუხვიეთ და ჩაბნელებულ ღრანტეებს ქვეითად შეუყევით. აჩიკო ბასიშვილის ნათქვამი — კორდომიანამდე 300 მეტრის გავლა მოგვიწევსო, რა თქმა უნდა, ტყუილი აღმოჩნდა. ეს მანძილი სამჯერ მეტი გამოდგა და ისე გაიწელა, რომ ვიფიქრე, მგონი, ბილიკი აგვერია-თქო.

ეკლესია სწორედ ამ დროს გამოჩნდა.

მაინც რა არის დაღლილზე და გაჯავრებულ გულზე მიზანთან (მით უმეტეს, ეკლესიასთან) მიახლოება!.. თითქოს, ფეხი აღარ მისხლტის, აღარც წვიმს და ტყეშიც სინათლე შემოიჭრა. მგონი, გუსტავ ფლობერმა თქვა — ბუნების პეიზაჟის მშვენიერების შეგრძნება მიძნელდება, თუ მას რომელიმე ისტორიული ძეგლის ნანგრევები არ ასრულებსო.

ჩემი მხრივ, ბევრჯერ მიკითხავს საკუთარი თავისთვის, თუ რა ჰქვია იმ განცდას, რომელსაც ტყეში ჩაკარგული ძეგლის ნახვა იწვევს. მგონი, ეს გაორებული მზერაა: ერთი თვალი ბავშვობასა და ზღაპარს გახსენებს, მეორე თვალი — უხნეს წარსულსა და თავგადასავალს.

... ორმოცდაათ ნაბიჯში დალეწილი ტაძარია, ათიოდ ნაბიჯში, ვეება ხის გვერდით — აკლდამა. იგი, რაც ზევითაა, ერთი იმდენი მიწაშია და ამიტომ, კარისგან მხოლოდ მცირე ღიობია დარჩენილი. დაწოლილმა თუ არ ჩაანათე და ჩაიხედე, ისე არაფერი გამოვა. ეს აკლდამც ტრადიციულად ორგანყოფილებიანია. წინა მხარე შეისრულადაა გადახურული და წელში მოხრილი კაცი დადგება, ოთახის შუაში, სიგრძეზე, ქვის ვიწრო ტახტია, რომლის ბოლო ასევე ვიწრო, ღრმა სამარხზეა მიბჯენილი. როგორც ჩანს, მიცვალებულს თავდაპირველად ტახტზე ასვენებდნენ, მერე კი, როცა ცხედარი ჩონჩხად იქცეოდა, აკლდამის ხვრელში შეჰქონდათ და ტახტს ახალი მიცვალებულისთვის ამზადებდნენ.

... ტაძარს აღმოსავლეთის მხრიდან მივადექი.

ეს, **„კორდომიანი“**, ანუ კოზმას და დამიანეს სახელობის საყდარია. სხვათა შორის, ამავე სახელწოდების ტაძარი ბითვინიის ოლიმპიაშიც იყო ღირსი ილარიონ ქართველის იქ მოღვაწეობის ჟამს.

კალაურის ეს ტაძარი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ნაგებობას კამარები მთლიანად ჩამოშლილი აქვს, საკურთხევლის კედელი შუაზეა გაპობილი და უკონქოდაა, დასავლეთი კედელი გაბზარულია და ფრონტონის ნაპირები მონგრეული აქვს. გარღვეულია სამკვეთლოს აღმოსავლეთი კედელი, ცენტრალურ ეკლესიაში ამოსული დიდი ხე განადგურებით ემუქრება შემორჩენილ თაღებს. ნაგებობა მორღვეული კამარის ქვებით ისეა ამოვსებული, რომ ზოგიერთი კარის ღიობისგან ნახევარიღა მოჩანს. არადა, **ჩვენ წინაშეა თავისი გეგმარებით განუმეორებელი სამეკლესიანი ბაზილიკა. იგი, ერთი შეხედვით, ჯვარგუმბათოვანი ტაძარიც კი შეიძლება გეგონოთ, რადგან მისი სადიაკვნო და სამკვეთლო დამატებით ოთახების საშუალებით იმგვარად უერთდება ცენტრალურ ეკლესიას, რომ ეს ოთახები განივ მკლავებს წააგავს.** გვერდითი ეკლესიები ცენტრალურ ეკლესიას მხოლოდ ამ დამატებითი ოთახების გაგრძელებაზე ემეზობლება. ეს პატარა ეკლესიები ცენტრალურ ეკლესიასთან და ერთმანეთთან დასავლეთის გარშემოსავლელით არიან დაკავშირებული. ორივე გვერდითი ეკლესიის საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა, ცენტრალური ეკლესიისა კი ნალისებრი.

საშუალო ზომის ბაზილიკას (13,8X10,5 მ.) სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში დიდი სათავსო ჰქონია მიშენებული, მაგრამ მისგან 1,5-2 მეტრის სიმაღლის კედლებიღაა დარჩენილი.

ტაძარი ნაგებია მოზრდილი რიყის ქვით. დასავლეთ ფასადის გარდა, წყობა თითქმის ყველგან თარაზული და რიტმულია.

**„კორდომიანი“, რომელიც IX საუკუნის პირველი ნახევრის ტაძარია, თავისი აკლდამით და ტერიტორიაზე შემორჩენილი სხვა**

**ნაშთებით, შეიძლება, ერთ-ერთია იმ 6 მონასტერში, რომელიც ილარიონ ქართველმა აღაშენა „ქვეყანასა თვისა“-ში. ამიტომ (და არა მარტო ამიტომ) ტაძრის გასანადგურებლად გამეტება დანაშაულია.**

„კორდომიანიდან“ კიდევ უფრო განწირული ეკლესიებისკენ მაქვს გეზი. ისინი, ამავე ხეობაში, აქედან დასავლეთით და სამხრეთით არიან დამალული ტყეში. ესაა VI-VII საუკუნეების ძეგლები: **„სამყინაური“**, **„მთავარანგელოზი“** და **„უნაგვერდი“**.

„მთავარანგელოზი“ დარბაზული ეკლესია ყოფილა (7,8X4,8 მ.) და გალავანი ჰქონია. იგი რიყის მსხვილი და კლდის ფლეთილი ქვით აუგიათ, მაგრამ ახლა მხოლოდ საკურთხევლის ნაწილია შემონახული და ისიც შუაშია განგრეული. ქვის ნაირსახეობის გამო, წყობა ირეგულარულია.

„სამყინაური“ 3-ეკლესიანი ბაზილიკა (11,6X10,1 მ.) ყოფილა. მისი კედლები ახლა მხოლოდ გვერდითი ნავების სიმაღლის დონეზეა, ხოლო ცენტრალური ნავი საკურთხევლის აფსიდი სარკმლის ქვემო ნიშნულთან წყდება.

„უნაგვერდი“ სოფლიდან ყველაზე უფრო შორს, 6-7 კილომეტრშია სამხრეთით. იგი ისეა დალეწილი, რომ მხოლოდ ზოგადი დახასიათება შეიძლება. გეგმარებით ესეც 3-ეკლესიანი და გარშემოსავლელიანი ტაძარი ყოფილა (12,5X10,5 მ.) ასე თუ ისე, შემორჩენილია ცენტრალური ეკლესიის აფსიდის ორი გვერდი, რომელთაგან ერთ-ერთში საღადაა გადარჩენილი სამალავში ასასვლელი საკმაოდ ფართო და მაღალი ლუკი. ნაეკლესიართან ახლოს ქვითკირის წყაროა.

VI-VII საუკუნეთა მიჯნის სხვა ეკლესიების მოსანახულებლად ჭერემის ქვეყანაში ტყე-ტყე სიარული აღარ გვჭირდება. სოფელ კალაურის სასაფლაოზე ჩამოვდივართ, რომელიც ერთ დროს მთლიანად გალავანში მჯდარა. ეკლესია ამ გალავნის შიგნით, გზიდან 60-70 ნაბიჯში დგას.

კალაურის „კორდომიანი“: საერთო ხედი და ინტერიერი

ეს არის სხვადასხვა დროს აღდგენილი და ახლაც კარგად მოვლილი **წმინდა გიორგის** მცირე ბაზილიკა (10,9X9,4 მ.), რომლის დასავლეთ კეხზე შემოდგმული სამრეკლო 1873 წლის შეკეთების დროინდელია. ტაძარი აშენებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, მათ შორის ლოდებითაც. ამის გამო, წყობის თარაზულობა დარღვეულია. კედლები გარედანაც მსუბუქადაა შებათქაშებული, რაც, ალბათ, XVI საუკუნის, ანუ იმ პერიოდის ნაკვალევია, როცა ტაძარი შიგნიდანაც შეილესა და მოიხატა. ეს ე.წ. ხალხური მხატვრობაა. ამავე ხანებში უნდა იყოს ჩადგმული დასავლეთ ფრონტონის შეღრმავებულ თაღში შირიმის ქვით გამოყვანილი დიდი ჯვარი.



კალაურის „წმ. გიორგი “და „უნაგვერდის“ სამალავის ლუკი

კალაურის „წმ. გიორგის“ ეპოქისაა, მაგრამ მასზე გაცილებით დიდია ვაჩნაძიანის **„წმ. გიორგის“ ბაზილიკა** (20,6X13,5 მ.). იგი გურჯაან-თელავის ავტომაგისტრალის მარცხენა ნაპირზე დგას. ეს უკვე წმინდა კახური სტილით ნაგები 3-ეკლესიანი ბაზილიკაა. ერთი შეხედვით, იგი ძალიან წააგავს ზეგაანის „ყველაწმინდას“, თუმცა მისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი, ერთსართულიანი გარშემოსავლელი აქვს და ტაძარში პატრონიკე არაა ჩართული.

ვაჩნაძიანის „წმინდა გიორგის“ მეორე სახელიც აქვს — **ამიდასტური**. აი, რას გვეუბნება ამის თაობაზე სოფლის მკვიდრი ილია ლაშქარაშვილი:

— სოფელი, ადრე, აღდგომის მეორე დღეს აღნიშნავდა აქ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაცხოვრის აღდგომას ადასტურებდა. ე.ი. მაცხოვარი რომ აღდგა, მეორე დღის დღესასწაული ამის დასტური იყო. სოფელს სხვა ტრადიციაც ჰქონდა — აღდგომის მესამე დღეს უკვე ზევით, ვაჩნაძიანის „ყველაწმინდაში“ აღნიშნავდა.

ამიდასტურის კომპლექსში ამავე ეპოქის — VI-VII საუკუნეების მეორე საყდრის ნაშთიცაა. ეს არის გარედან ოქტაგონური და შიგნიდან ჯვარგუმბათოვანი მცირე ტაძრის — **„სვეტიცხოვლის“** დაკონსერვებული ნანგრევები, რომელიც ზუსტად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ჩვენს მიერ ადრე ნანახი ვაზისუბნის „40 მოწამე“.

— როცა „წმინდა გიორგის“ რესტავრაცია დაიწყეს და ტერიტორია სუფთავდებოდა, სპეციალისტებს ვთხოვეთ, რომ ეს ადგილიც გაეთხარათ, — მიამბობს ილია ლაშქარაშვილი, — მახსოვს, მოხუცები გვეუბნებოდნენ ხოლმე, „წმინდა გიორგის“ ტერიტორიაზე რომ პატარა ბორცვია, ისიც წმინდა ალაგიაო. გათხარეს და მართლაც ეკლესია აღმოჩნდა. ეკლესიის ქვეშ და მის გვერდით ორი აკლდამაც ყოფილა. აი, ისინი — მიგვანიშნებს ლაშქარაშვილი და ცალკე მდგარ აკლდამაში ჩასვლას გვთავაზობს. — აქ ოთხმოცი ნეშტი აღმოჩნდა. ერთ-ერთს მკერდში ისრისპირი ჰქონდა გაჩრილი. როგორც ირკვევა, ეკლესიის მსახურნი მტერთან ბრძოლაში დაეცნენ,.

მეორე აკლდამაში, უშუალოდ ტაძრის ქვეშ მდებარე კრიპტაში, მოულოდნელად ერთ-ერთი სასულიერო პირის ნეშტს — კუთხეში ჩარჩენილ თავის ქალას მივაკვლიე, რომელსაც მიწის მტვერი არც თუ ისე დიდიო ხნის წინ გადასცილებოდა. ლაშქარაშვილს გაუკვირდა...

ასეთი აღმოჩენით დასრულდა ჭერემის ქვეყანაში ჩემი მოგზაურობა, სადაც მარტო ადრეშუასაუკუნეების (IV-VIIსს.) 22 და გარდამავალი შუასაუკუნეების (VIII-IX სს.) 14 ტაძარი გადავიღეთ. XII-XVIII საუკუნეების ეკლესიების დათვლა არც კი მიცდია, რადგან დროის უკმარისობის გამო, ასეთი მხოლოდ 4 ძეგლი მოვინახულე. ზევით მოტანილი ციფრები, შეიძლება, ბევრს დაუჯერებელიც კი ეჩვენოს, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, მას კახეთ-ჰერეთსა და ზოგადად, ჭერემის ქვეყანაზე (გურჯაანის რაიონი) წარმოდგენა არა აქვს.

**კახეთის ტაძრების მნახველს აღარ უნდა გაუკვირდეს რატომ ვერ მოთხარა მტერმა ეს კუთხე. ნებისმიერი ტაძარი ფესვია და რაც უფრო ძველია ტაძარი, ფესვიც მით უფრო ძველი და ძლიერია. თუ დავაკვირდებით, მიტოვებულ საყდრებთანაც კი ქვევრები აწყვია — ზოგთან ერთი, ზოგთან ორი, ათი, ასი... თითოეული ქვევრი ცალკე საგვარეულოა. ძველი გვარებიდან ბევრი აღარ ცხოვრობს, შეიძლება გაქრა კიდეც, მაგრამ ნებისმიერი ახალმოსახლე პატივს სცემს და უვლის ამ ქვევრებს, მერე, გადის დრო და მასაც თავისი წილი მოაქვს, სანთელს ანთებს, ღვინოს წაუქცევს, ხმიადას გაუტეხს და მორჩა — კარგია თუ ცუდია, კახელია, კახეთის ფესვის ნაყარია.**

ამ ფესვით აღმოცენდნენ, წმ. არჩილი და ჯუანშერი... ამ ფესვიდან იბარტყა ილარიონ ქართველმა — უდიდესმა საეკლესიო მოღვაწემ და მაშენებელმა. ბევრმა დიდმა მამულიშვილმა იბარტყა კიდევ ამ უკვდავი ფესვიდან...

*ავტორის ფოტოები*

ვაჩნაძიანის „ამიდასტური“: აღდგენილი „წმინდა გიორგი“ და დაკონსერვებული „სვეტიცხოველი“ აკლდამით

1. ქალაქი აშშ-ში
2. უდედმამო ბავშვი
3. ყველაზე მაღლა მდებარეტბა
4. ეკლიანი ბალახი
5. ეზოს დიდი კარი, ჭიშკარი
6. თურქეთის ფულის ერთეული
7. ამირანის სატრფო
8. დიდი იტალიელი კინორეჟისორი
9. მუქი ფერის ლუდის სახეობა
10. იაპონური სიმებიანი საკრავი
11. ძველეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
12. ტოკიოს ძვ. სახელწოდება
13. პროცენტის მეათედი ნაწილი
14. სპორტული ნაწარმის ფირმა
15. იაზონის ხომალდი
16. რეზო ესაძის კინოქალაქი
17. ქალაქი არაბთა გაერთიან. საამიროებში
18. სოსოიას რუსის სახელი (დუმბაძე)
19. ალკოჰოლური სასმელი
20. ირანის შაჰის ბრძანებულება
21. მუსიკალ. გამის III ნოტი
22. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი
23. ხვიარა ბალასოვანი მცენარე
24. სოფიკოს როლი „ნატვრის ხეში“
25. ველური პირუტყვი
26. ორელექტროდიანი ელექტრონმილაკი
27. აგავასებრთა ოჯახის მცენარე
28. დირიჟორის სამოსი
29. წყლის დიდი ჭურჭელი
30. ბამბით გამოტენილი ფრინველის ტყავი
31. ტბა საქართველოში
32. პედრო ალმოდოვარის ფილმი
33. იგივეა, რაც მატადორი
34. მატერიის ერთი სიდიდე
35. გამომწვარი ფერადი თიხა
36. პატარა დროშა
37. წყალქვეშა კლდე
38. მზის ქოლგა
39. ქალაქი ირანში
40. მშვილდით სასროლი ჯოხი
41. იაპონური მაფია
42. მდიდრული აგარაკი
43. კათოლიკური წირვა
44. კორეული ავტომარკა
45. იაპონური თეატრის სახეობა
46. ვოლტერის ნამდვილი გვარი
47. საბრძოლო ნავგახი
48. ძველი სლავური ენის ანბანი
49. ქართული საესტრადო კოლექტივი
50. შხამიანი გველი
51. შემწვარი პურის ნაჭერი
52. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.
53. ქალიშვილის ანდის ქმარი
54. ისტორიული ქალაქი ჩრდილოეთ თურქეთში
55. ვისის სატრფო
56. ამაზონის დელფინი
57. ნაბიჯი ბალეტში
58. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
59. ბალახის ჩრდილი
60. კუნთის შაქარი

# თვალის ფერი საკვებაზეა დამოკიდებული?

სწავლულებმა უარყვეს ფაქტი, რომ თვალის ფერი მუდმივი ფაქტორია — მისი შეცვლა შესაძლებელია 60 დღის განმავლობაში. მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება თვალის ფერსა და პროდუქტს შორის, რომელსაც ადამიანი ხშირად მიირთმევს. მათგან თუ მხოლოდ განსაზღვრულ საკვებს შევჭამთ, თვალებმა შეიძლება ფერი შეიცვალოს. შედარებით ღია შეფერილობის მიღება შეიძლება, თუ ადამიანი მუდმივად თაფლსა და ნიგოზს მიირთმევს. ხოლო თუ, მაგალითად, რკინით მდიდარი ისპანახი იქნება ყოველდღიურ რაციონში, თვალი უფრო ნათელი ფერის გახდება. სწავლულთა მტკიცებით, თვალის ფერზე ასევე გავლენას ახდენს ზეითუნის ზეთი, გვირილის, კოჭას ჩაი და ხახვიც.



# სუპერტორტი, რომელიც ყველას მოეწონება

ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელმა გამოკიტხვა ჩაატარა, რომლის შედეგების მიხედვით ისეთი ტორტის რეცეპტი შეიმუსავა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მოეწონებოდა. მოკლედ, კოლექტიურმა გონებამ შექმნა ტორტი, რომელიც 5 სხვადასხვა რეცეპტისგან შედგება: ვიქტორიანული და შოკოლადის ბიკვიტის, კექსის ხილის ჩირით, ჩიზქეიქისა და სტაფილოს ტორტის. ფენებზე წასასმელადაც ყველაზე უფრო საყვარელი შიგტავსი შეარჩიეს: შოკოლადის კრემი, მარწყვისა და ჟოლოს ჯემი, ყველაზე პოპულარული მორთულობა კი შოკოლადის კვერცხები აღმოჩნდა. სუპერტორტის რეცეპტს „სიცოცხლე შესძინა“ ცნობილმა კონდიტერმა მირანდა გორ ბრაუნმა. 5-სართულიანი ტორტისთვის მას 39 ინგრედიენტი, მათ შორის 352 შოკოლადის კვერცხი და დრო — 31 საათი დასჭირდა.

# ლუდი ჩაის პაკეტებში

ამერიკელმა მეწარმემ ბობი გატუზომ შექმნა პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა საკუთარი ლუდი შექმნათ, ჩაის პაკეტის ანალოგის მსგავსად. ერთჯერადი პაკეტები სავსეა სხვადასხვა ლუდის ინგრედიენტებით და ფორთოხლის ქერქითაც კი. ერთი პაკეტი ოთხი კათხა ლუდის გაკეთების საშუალებას იძლევა, ამიტომ არ არის აუცილებელი, ერთი კათხის შემდეგ ახალი პაკეტი გამოიყენოთ. როგორც სიახლის ავტორი აღნიშნავს, ყოველ პაკეტში დაახლოებით 5 კალორიაა თითო ულუფაზე. გატუზომ საკუთარი პროექტი ცნობილ ინტერნეტსაიტზე Kickstarter გამოაქვეყნა და მისი რეალიზაციისთვის 42 დღეში 25 ათასი დოლარის შეგროვებას გეგმავს.

# ყოფილი მეტროში მოჰყავთ

იაპონიის დედაქალაქში მწვანილის მოყვანა დაიწყეს Tokyo Salad-ის ბრენდით. ეს საშუალებას მისცემს ტოკიოს მცხოვრებლებს უახლესი პროდუქტი შეიძინონ მწარმოებლისგან და არ გადაიხადონ ზედმეტი შუამავალ ფირმებში. მცირე ზომის სათბურში ჰიდროპონური ტექნოლოგიის მეშვეობით, მწვანილის რამდენიმე სახეობა მოჰყავთ. მეტროს ხელმძღვანელობის განცხადებით, მწვანილის მოსაყვანად არ გამოიყენება პესტიციდები, რადგან მიწის ქვეშ არ არიან მავნებლები. რადგან სალათი ნიადაგთან კონტაქტის გარეშე მოდის, მასზე ძალიან ცოტა ბაქტერიაა და მისი მირთმევა გაურეცხავადაცაა შესაძლებელი. როგორც ვარაუდობენ,. ტოკიოს მეტროში მოყვანილი მწვანილი მალე, ზაფხულიდან დედაქალაქის რესტორნებსაც მიეწოდება.

# სუდოკუ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 7 | | | 5 | | |
| | 6 | | | | | | | 7 |
| | | | | 8 | 5 | 2 | | 9 |
| | | | 4 | | | | | 5 |
| 8 | 7 | | | 9 | | | 4 | 2 |
| 3 | | | | | 8 | | | |
| 7 | | 4 | 3 | 6 | | | | |
| 6 | | | | | | | 2 | |
| | | 1 | | | 7 | | 6 | |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | | | | 7 | | | |
| | | 6 | | | | | | |
| | 5 | | | | | 7 | 9 | 1 |
| 6 | | | | 3 | 8 | | 1 | |
| 2 | | | 9 | | 5 | | | 4 |
| | 7 | | 6 | 4 | | | | 3 |
| 9 | 3 | 2 | | | | | 4 | |
| | | | | | | 1 | | |
| | | | 5 | | | | 2 | 8 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | 8 | 1 | |
| | | | | | | | 9 | 7 |
| 5 | 9 | 8 | | 6 | | | | |
| | | | 3 | | | | 8 | 1 |
| | | 4 | | | | 9 | | |
| 2 | 1 | | | | 5 | | | |
| | | | | 8 | | 7 | 6 | 9 |
| 9 | 4 | | | | | | | |
| | 2 | 6 | 9 | | | | | |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | | | 2 | 1 |
| | 3 | | | | 2 | 7 | | |
| 5 | | 4 | | | 1 | | | |
| | | | | | | | 9 | 2 |
| | | | 4 | | 3 | | | |
| 6 | 7 | | | | | | | |
| | | | 8 | | | 4 | | 9 |
| | | 9 | 1 | | | | 6 | |
| 2 | 4 | | | | 6 | | | 7 |

## ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲘᲢᲐᲖᲨᲘ „ᲩᲔᲩᲮᲐᲕᲔᲜ“

ამომავალი მზის ქვეყანაში, განქორწინების ყველა მსურველს, ერთ-ერთი ტაძარი მეტად უჩვეულო ცერემონიას სთავაზობს. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ოჯახი არ აეწყო, მაშინ სავსებით შესაძლებელია მისი უნიტაზში „ჩარეცხვა“. თავად ცერემონია რამდენიმე ეტაპისგან შედგება. დასაწყისში ცოლსა და ქმარს სთავაზობენ, ქაღალდზე დაწერონ, რამ გააღიზიანა ყველაზე მეტად ოჯახურ ცხოვრებაში და რატომ გადაწყვიტეს განქორწინება. შემდეგ ცუდი კარმისგან უნდა გათავისუფლდნენ — დაწერილი „დოკუმენტი“ სტუმრების თვალწინ უნდა დახიონ და კანალიზაციას გაატანონ. სხვათა შორის, ცერემონიაზე დამსწრეთა მიწვევა ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება. „უნიტაზური გაყრის“ მესამე ეტაპი კი ოჯახური ურთიერთობების გაწყვეტის მიზეზების „საზეიმოდ“ გახმოვანებაა. უნდა აღინიშნოს, რომ „შორეულ ნაოსნობაში“, ქაღალდის გარდა, შეიძლება საქორწინო ბეჭდები, ოჯახური ფოტოები და სხვა ნივთებიც ჩაუშვათ. აქ ყველაფერი უკვე მეუღლეთა განაწყენების ხარისხსა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

## სუნამო ადამიანის სურნელით

ფრანგული კომპანია ოჯახებს, რომელთაც ახლობელი ადამიანი დაკარგეს, სთავაზობს გარდაცვლილის ხსოვნა ინდივიდუალური არომატის სუნამოთი უკვდავყონ. იდეა 52 წლის კატია აპალატეგის დაებადა მეუღლის გადაცვალების შემდეგ. მან დასახმარებლად ჰავრის უნივერსიტეტის სპეციალიტებს მიმართა, რომელთაც შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, აღადგინოთ ადამიანის სურნელი. გადაცვლილის ტანსაცმლისგან სუნს ვიღებთ — ის ასობით მოლეკულითაა წარმოდგენილი და მისგან ახალ სუნამოს ვქმნით, სულ რაღაც ოთხ დღეში, — აცხადებენ სწავლულები. ასეთი მომსახურების საფასური 600 დოლარს არ აჭარბებს. აპალატეგის ფირმა იმედოვნებს, რომ კლიენტების რაოდენობა გაიზრდება. მისი თქმით, არ არის აუცილებელი, ახალი არომატი მაიცდამაინც გარდაცვლილის ხსოვნისთვის დაამზადონ. მაგალითად, სუნამო საკუთარი სურნელით შესანიშნავი საჩუქარი იქნება „ვალენტინობაზე“ საყვარელი ადამიანისთვის. ფირმის მომსახურებით ასევე შეუძლიათ იმ ოჯახებმა ისარგებლონ, რომლის წევრებიც იძულებულნი არიან, შორს იყვნენ ერთმანეთისგან.

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
## ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 9 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 8 | 9 | 7 | 5 | 1 | 3 | 6 | 4 |
| 1 | 6 | 7 | 3 | 4 | 9 | 8 | 2 | 5 |
| 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 5 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 6 | 9 | 1 | 4 | 2 | 8 | 3 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 8 | 5 | 2 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 2 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 6 | 7 | 2 | 9 | 1 |
| 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 8 | 1 | 6 | 5 |
| 2 | 9 | 1 | 7 | 5 | 6 | 4 | 8 | 3 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 5 | 3 | 2 | 9 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 4 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 1 | 5 | 2 | 9 | 8 | 3 | 6 | 4 | 7 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 8 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 9 | 5 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 3 | 9 | 8 | 4 | 1 |
| 8 | 4 | 3 | 6 | 1 | 5 | 2 | 7 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 7 | 8 | 2 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 6 | 7 | 3 | 2 | 4 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 8 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 |
| 6 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 8 | 1 | 7 |
| 1 | 4 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 3 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 2 | 6 | 9 |
| 9 | 7 | 6 | 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 4 |
| 4 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 8 |

მე-10 გვერდი: 1. ამაზონი; 2. მორიელი; 3. ზაფხული; 4. ნატი; 5. „სპირალი“; 6. პეკინესი; 7. რანეტი; 8. ლუკა; 9. გრაფიტი; 10. ჩიზ-ბურგერი; 11. აივანი; 12. პიერი; 13. აკინაკი; 14. უნიკუმი; 15. ილიაუნი; 16. ამება; 17. თრია; 18. მულინე; 19. კეჩუა; 20. კნუტი; 21. ლილითი; 22. სერვიზი; 23. პერსევსი; 24. ილი; 25. ბლანკი; 26. შილინგი; 27. აირონსი; 28. პითაგორა; 29. რაველი; 30. ევლოგია; 31. ნაიადა; 32. თაველი; 33. ინინგი; 34. არშია; 35. უსუპი; 36. ინგა; 37. არკა; 38. იანგული; 39. რგი; 40. აპია; 41. ასლი; 42. უნამუნო; 43. არია; 44. რუ; 45. ირისი; 46. გორკი; 47. ენდრო; 48. გულაგი; 49. ანისი; 50. ირი; 51. იპრი; 52. ორე; 53. მი; 54. თია; 55. იანკი; 56. გიაური; 57. ინია; 58. ამტი; 59. ლაგი; 60. ინანთი.

## ვაქცინა ინფარქტის წინააღმდეგ

შვედმა მეცნიერებმა ლინდსის უნივერსიტეტიდან ვაქცინა შექმნეს, რომელიც ადამიანს გულსისხლძარღვთა ისეთი დაავადებების განვითარებისგან დაიცავს, როგორიც ინფარ-ქტია. ვაქცინა განსაკუთრებული ქიმიური ნაერთია, რომელიც იმუნური სისტემის სტიმულირებას ახდენს და უშუალოდ დაა-ვადების განვითარების მიზეზზე — ათეროსკლეროზზე ახდენს გავლენას. ათეროსკლეროზი არტერიების ქრონიკული დაა-ვადებაა. თუ გულის მკვებავ არტერიაში თრომბი წარმოიქმნა, მიოკარდის ინფარქტი ვითარდება, ხოლო თუ ტვინის მკვებავ არტერიაში — სახეზეა ინსულტი. შვედების მიერ შექმნილი ვაქცინა ხელს უშლის სისხლში ქოლესტერინის დაგროვებას და არტერიების კედლებზე კოლტების წარმოქმნას, რაც პა-ციენტებს საშუალებას აძლევს, თავი დაიცვან ინფარქტისა და ინსულტისაგან. ამ ვაქცინასთან ერთად, სწავლულები ახლა აეროზოლის სახით პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ. როგორც ვარაუდობენ, ვაქცინა აფთიაქებში უახლოეს ხუთ წელიწადში გამოჩნდება.

## ბანანი მავნე ჩვევების წინააღმდეგ



სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს და ბანანის სასარგებლო თვისებები გამოავლინეს. ახლა სავსებით ცხადი გახდა, რომ ეს პროდუქტი შეგვიძლია ნებისმიერ დიეტაში ჩავრთოთ. თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ტროპიკული ხილი ადამიანს ისეთი მავნე ჩვევების დაძლევაში დაეხმარება, როგორიც მაგალითად, მოწევაა. ამასთან, იგულისხმება არა მხოლოდ ნიკოტინზე დამოკიდებულება, არამედ მარიხუანაც. საქმე ისაა, რომ ბანანში ბევრი ტრიფტოფანია და როცა ორგანიზმი მას ითვისებს, წარმოიქმება კინურენის მჟავა. ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს ამ მჟავას შესაძლებლობები და დაასკვნეს — მისი გამოყენება სერიოზული დამოკიდებულებების დროს თავისუფლად შეიძლება. მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ კინურენის მჟავას ზოგიერთი თვისება გარკვეული გზით მოქმედებს ტვინზე და შეუძლია ადამიანის მარიხუანაზე დამოკიდებულება შეასუსტოს. ლაბორატორიული ცდები მაიმუნებსა და მღრღნელებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ კინურენის მჟავა კანაფში შემავალ იმ ნივთიერებაზე ზემოქმედებს, რაც შეჩვევას იწვევს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მომავალში სიგარეტზე ან მარიხუანაზე დამოკიდებულებას პრეპარატებით კი არა, სპეციალური დიეტით შეებრძოლებიან, რომელიც ტრიპტოფანით იქნება გამდიდრებული. თუმცა, მკვლევარები მსურველებს აფრთხილებენ, რომ ახლავე ნუ შეუდგებიან ბანანით ან სხვა პროდუქტით მავნე ჩვევებთან ბრძოლას, რადგან კვლევები ჯერ დასრულებული არ არის და პირველადი შედეგები შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

1. ყვავილების ქალაქი „ვეფხის-ტყაოსანში“
2. სამყარო, როგორც მთლიანობა
3.აზარტულ თამაშებზე დამოკი-დებულება
4. ლორდის მეუღლე
5. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
6. ფასიანი ქაღალდი
7. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება
8. ძვირფასი სკამი, სავარ-ძელი
9. საფქვილე ყუთი წისქვილში
10.პატარა ერთადგილ-იანი თვითმ-ფრინავი
11.უფლის მიერ შესრისხული ქალაქი
12. ფიგურუ-ლი სახაზავი
13. პარფიუ-მერია ძველ ქართულში
14. მოლიერის ოინბაზი პერსონაჟი
15. თავისუ-ფალი ფორმის ნარკვევი
16.იგივეა, რაც ივარა
17. ძიუდოს შემქმნელი
18. ხევისბერი გორას შვილი
19.ფეხბურ-თის კარში გატანილი ბურთი
20.რომის ცნობილი შადრევანი
21. ჯუჯა ცხენი
22. ჯოჯოხ-ეთის ცეცხლი
23.ბავშვთა სასრიალო მარხილი
24. გერმ. ფოლკლორის გმირი ... ულენშპიგელი
25.რაჭული ხალხური სიმღერა
26. მექსიკური მცენარე
27. ბიბლიური პატრიარქი
28.დელიბის ოპერა
29. ქვეყანა აზიაში
30. ლატვიის დედაქალაქი
31. გერმანიის ნაკრების კაპიტანი
31.ქალაქი საქარ-თველოში
32. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
33.წიგნის ყდის გასაკეთებელი ხელოვნური ტყავი
34. ლოგარითმის წილადური ნაწილი
35. ძაღლის ჯიში
36. შემ-დგომში გადასახდელი დანახარჯი
37. დიდი ქვეწარმავალი
38. საგანთა ჩამონათვალი
39. სესხი უძ-რავი ქონების თავდებით
40. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
41. ებრაელთა სახელმწიფო
42.მოტო-ციკლებით რბოლა ტრეკზე
43.სამხრეთ-ამერიკული წიწვოვანი ხე
44.ფორმულა-1-ის ფინელი მრბოლელი
45. არაბული მრავალ-ღეროვანი ფლეიტა
46. კლიმა-ტურ-ბალნეო-ლოგიური კურორტი აფხაზეთში
47. ძალიან იშვიათი ნივთი
48. გლა-დიატორთა საბრძოლო მოედანი
49. ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმა
50.სიბრძნის ღვთაება ბაბილონურ მითოლოგიაში
51. მწერალი ... ჭილაძე
52. პატარა კენგურუ
53. კლოუნის ნომერი ცირკში
54. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
55.კაბო-ვერდეს დედაქალაქი
56. რემისა და რომულუსის დედა ... სილვია
57. ქვეყნის წარსული
58.სახალხო პოეტი-მომღერალი შუაზიაში
59.მდინარე ლიტვასა და ბე-ლორუ-სიაში
60. მედიცინის დარგი
61.ფრანგი მსახიობი კაროლ ...
62. სიმინდის შესანახი ნაგობა
63.ინგ. ოქ-როს ფული
64.ყირიმის ძვ. სახელწ.
65. თვალის გუგა
66. „ტოიოტას“ მოდელი
67. საქ-ართველოს ერთ-ერთი დედოფალი
68.ძველი სკან-დინავ. ეპიკური ლიტერატურის ძეგლი
69. ბულგარ-ელი ნათელ-მხილველი
70.ბავშვის შესაში-ნებელი საფრთხობელა
71. ჩინური ტანვარჯიში
72. თმის მცენარეული საღებავი
73. „ძე“-არაბულ გვარებში
74.რუსული თვითმფრი-ნავის მარკა
75. სპორტუ-ლი შეხვედრის თანაბარი ანგარიში
76. ქალაქი რაჭაში
77. უძრაობა, ჩამორჩე-ნილობა, შაბლონი
78. შლამის თევზი
79. ტიბ-ეტური ხარი
80. ჯავშნიანი ამფიბია
81. ჩანთა ნანადი-რევი-სათვის
82. აშშ-ის შტატი
83.კავ-შირი ქართულ ენაში
84.სა-განგებოდ დამუშავებუ-ლი ხის სოკო

# მაკარონს მოხარშვა არ სჭირდება

სპაგეტის მოხარშვა — ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მარტივი საქმეა სამზარეულოში, თუმცა, მისი უფრო გაადვილებაც შესაძლებელი ყოფილა. იტალიური პასტის ცნობილმა მწარმოებელმა რამდენიმე დღის წინ Pronto-ს მარკის პროდუქციის ახალი ხაზი წარმოადგინა, რომელშიც სპაგეტი და მაკარონის სხვა სახეობები შევიდა. ახალი ხაზი კი იმით არის გამორჩეული, რომ მოხარშვა არ სჭირდება. ასეთი პასტის მოსამზადებლად, საკმარისია, ის ქვაბში ჩადოთ, ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის წყალი დაასხათ და ცეცხლზე 10 წუთით დადგათ. ამ ხნის გამმავლობაში მაკარონი მთელ წყალს შეიწოვს და ზუსტად იმ დონემდე გაცხელდება, რომ სუფრაზე მიიტანოთ, მოასხათ სოუსი  და ყველი მოაყაროთ. მაკარონის მომზადების ახალი მეთოდი დროსაც დაზოგავს, არც  პროდუქტი ჩაიხარშება და ზედმეტი ქვაბიც არ დაგჭირდებათ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.